პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ფასტან. და თბილისის კომი. კომიტეტის და სრულ. საკომ. ს., ს., წ.-პარტ. და ფაბრიკათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: საქართველოში 100.000 მ. ქართ. ბონებით. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ერთიანი ბიბლიოთეკა

ფასი 5000 მან.

ქართ. ბონებით ყველგან.

№ 211 პარასკევი, 15 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 15 სექტემბერი 1922 წ. № 211

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ

დღეს, ერთიან პარტიულ დღეს

ბოლოს 6 საათზე იარჩიეკების ადგილობრივ სხდომების ნაცვლად, თბილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილებით, გაიმართება **ქალაქის ორგანიზაციის ერთიანი საერთო პარტიული კრება.** საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებენ **ამხ. მიხა ცხაკაია და ა. ენუქიძე.**

თბილისის კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

ხვალ, 16 სექტემბერს დღის 3 საათზე საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში გაიმართება.

თბილისის პოლიტეტის პლენუმის სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა 15 სექტემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დახვან დღის წესრიგში:

1) ოსმალეთ საბერძნეთის ომი.
2) პარტიის წესდება.

მეორე პუნქტისათვის მასალებად გამოყენებული უნდა იქნეს თბილისის კომიტეტის მიერ გამოცემული ახალი წესდების პროექტი.

3—2 თბილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**

15 სექტემბრიდან გაზეთებზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

გაზეთების დასახელება	საქართველოში ქართული ბონებით.		სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1922 წლ. ფულის ნიშნებით.	
	1 თვით.	1 ოქტ. წლ. ბოლომდე.	1 თვით.	1 ოქტ. წლ. ბოლომდე.
„კომუნისტი“	100,000	300,000	250,000	750,000
„პრ. გრუზია“	100,000	300,000	250,000	750,000
„ქართ. ასტლი“	100,000	300,000	250,000	750,000
„მიწის მუშა“	40,000	120,000	100,000	300,000
„ახალი აზრი“	40,000	120,000	100,000	300,000

წინანდელ ფასებში ხელის მომწერლებს განსხვავება ჩაეთვლებათ გაზეთების მიღების ვადის გაგრძელების გზით.

ყველა გაზეთის თითო ცალი ეღირება 5,000 მანეთი.

ზემოდ მოყვანილ ფასების ზევით გაზეთების გაყიდვისათვის დამნაშავენი დაისჯებიან კანონის მიხედვით.

გაზეთის ტრესტის გამგეობა და მთავარი კანტორა.

აცნობებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და საქართველოს კომპარტიის ყველა წევრებს, რომ 1 ოქტომბრიდან შეწყვეტილ იქნება გაზეთების გაგზავნა საქართველოს კომპარტიის ციკას ანგარიშზე. თბილისში და პროვინციებში გაზეთების გაგზავნის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, წინადადება ეძლევა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს იზრუნონ თავის დროზე გაზეთებზე ხელის მოწერისათვის. **გაზეთები გაიგზავნება მხოლოდ ნაღდი ანგარიშით, გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორის (რუსთაველის პრ. № 24) მიერ ხელის მოწერის ფასის მიღების შემდეგ.**

განცხადება გაზეთების კრედიტით მიცემის შესახებ არ იქნება სახეში მიღებული, ვინაიდან მხოლოდ ხელის მოწერის ფასის თავის დროზე შეტანის საშუალებით შესაძლებელი იქნება გაზეთების გამოცემისათვის გაწეულ ხარჯების დაფარვა.

მხოლოდ ხელის მომწერლების მიერ ხელის მოწერის ფასის თავის დროზე გადახდის საშუალებით და აგრეთვე გაზეთის ტირაჟის გადიდებით, გაზეთის ტრესტს შეძლება მიეცემა შეამციროს ფასები გაზეთებზე. ამისათვის, ამხანაგებს უნდა ახსოვდეთ, რომ გაზეთებზე ფასების შემცირება თვით მათზეა დამოკიდებული.

ხელის მოწერა შეიძლება ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებებში, თუ ამ დროსათვის იქ მოეწყობა ხელის მოწერა.

საჭიროა მისამართი აღინიშნოს სისწორით. მისამართის გამოცვლისათვის ადგილობრივ ქალაქის მცხოვრებლებს გადახდებათ—10,000 მან., ხოლო სხვა ქალაქებისას—20,000 მან.

5—2

ოსმალეთ-საბერძნეთის ომი

(თეზისები ერთიანი პარტიული დღისათვის)

1. მცირე აზიაში ოსმალეთის გამარჯვება მახვილით აპობს ურთიერთობის გადახლართულ ინტერესების კვანძს, რომელიც გაუფელი რჩებოდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამასთანავე ერთ ბერძნების განდევნა მცირე აზიიდან იწვევს ახლო აღმოსავლეთში ახალ გართულებას.

2. საბჭოთა რესპუბლიკას, რომელიც ერს უჭერს ოსმალეთის ნაციონალურ მისწრაფებას—განთავისუფლდეს ახლო აღმოსავლეთ ევროპის იმპერიალისტების ტუტეკუნობისაგან, არ შეუძლია არ ჰქონდეს დაინტერესებული ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ისეთ გადაწყვეტით, რომელიც ყველაზე უფრო ეფერება ოსმალეთის მშრომელთა და საბჭოთა ფედერაციის ინტერესებს.

3. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ოსმალეთის დღევანდელ გამარჯვებას, თუ ჩვენ მოვიგონებთ ის, რომ ოსმალეთ საბერძნეთის კონტინენტალურ პრობლემიდან ახლო აღმოსავლეთში, რაც ხელფეხს გაუხსნის საფრანგეთის იმპერიალისტებს კონტინენტზე.

4. ამგვარად ოსმალეთის არმიის გამარჯვებით, იფუშება ანტანტის შერყეული შენობა. თუ რომ ოსმალეთის გამარჯვება არ დაანგრევს მას საბოლოოდ, ყოველ შემთხვევაში ახალ უფსკრულს გათხრის ინგლისის და საფრანგეთის ურთიერთობაში, რომელიც ისედაც გამწვავებულია ამ უკანასკნელ ხანებში.

5. გარდა ამისა ოსმალეთის გამარჯვება ფაქტიურად შლის 1914 წელში დიდი შრომით შეკოწინებულ სევრის ხელშეკრულებას, რომელიც ოსმალეთს მისი აუარგებელი ბუნებრივი სამდიდრეებითურთ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მონურ უღელს ადგამდა.

ოსმალეთის არმიის გამარჯვება იქნება დასაწყისი მუსლიმანურ ქვეყნების ფართო ნაციონალური მოძრაობისა, რომელმაც ის-ის იყო მიიძინა ამ უკანასკნელ ხანებში.

6. ეს მოძრაობა შესაძლებელია დამთავრდეს გამარჯვებით და გაძლიერდეს იმდენად, რამდენადაც საბჭოთა რესპუბლიკების და ქემალისტურ ოსმალეთის კავშირი, რომელიც დადებული იყო სამხედრო ბრძოლის ხანაში, დარჩება მტკიცე და შეურყეველი. საფრანგეთი, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში ასე რიგად ელოლიავება ანგორას, დაინტერესებულია იმაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკის და ოსმალეთის მშრომელთა კავშირი განწყვეტილ იქნეს და კიდეც მუშაობს ამ მიმართულებით. ამ ჟამად საფრანგეთის ეს მუშაობა სწარმოებს ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ ოსმალეთმა უნდა იცოდეს, რომ საფრანგეთის და ინგლისის მტაცებელთა შორის წინააღმდეგობანი არა ერთხელ გათავებულა იმ ქვეყნის მეგობრული ძარცვით და დანაწილებით, რომელიც წარმოადგენდა უთანხმოების საგანს. ასე ხდებოდა არა ერთხელ და ეს შესაძლოა მოხდეს დღესაც. ერთად ერთი ნამდვილი მოკავშირე ოსმალეთის მშრომელებისა იყო და მომავალშიც იქნება საბჭოთა ფედერაცია.

7. ოსმალეთის ჯარების გამარჯვების მთავარ მომენტებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

ა). სექტემბრის დასაწყისში ნახევარი წლის სიჩუმის შემდეგ, ოსმალეთის ჯარები შეტევაზე გადადიან მთელი ფრონტით, დაწყებული ბრუსის რაიონით (კონსტანტინოპოლის მიმართულება) და გათავებული სმირნით. პირველ დღეებშივე ოსმალეთის ჯარებმა აიღო აფიონ-კარა გისარი და უშაკი სმირნის მიმართულებით და კიუტაუ ბრუსის მიმართულებით.

ბ) ბრძოლების მეორე სტადია:

ოსმალეთის ძველი სატახტო ქალაქის ბრუსა და საგირნასთან ახლომდებარე ადგილების აღება და ამნაირად ბერძნებისათვის მთავარი საყრდნობი პუნქტების ხელებიდან გამოცლა მცირე აზიაში.

გ) მესამე სტადია—სმირნის აღება და საბერძნეთის არმიის საბოლოოდ განადგურება, რომელიც უნდა დამთავრდეს ბერძნების მიერ მცირე აზიის ევაკუაციით.

8 ამ გვარად ქემალისტების ოსმალეთის ბერძნებისაგან გაწმენდის ოპერაცია დამთავრდა.

საბერძნეთი, რომელიც იყო ფაქტიურად ინგლისის ბრმა იარაღი სამუსლიმანო ქვეყნების მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ ჟამად ბედის ანაბარადაა მიტოვებული.

მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ეს მხოლოდ მოჩვენებითი გულგრილობაა. ინგლისი დიდად არის დაინტერესებული ახლო აღმოსავლეთის პრობლემით და იგი ვერ იქნება გულგრილი მომხდარ ამბებისადმი. ახლო მომავალში უნდა ველოდეთ შემდეგ ამბებს. საბჭოთა ფედერაცია მზად უნდა იყოს.

ტფილისის კომიტეტის საგანგებო ინფორმაციო ბიუროს განყოფილება.

რადიო-დეპეშები

(„კავკასტა“)

ახლო აღმოსავლეთის კონფერენცია

მოსკოვი. 14 სექტემბერი. (დასაწყისი არ არის მიღებული) ყოველგვარი წესები, რომელიც შემოღებული იქნება სრუტეებში რუსეთის გარეშე, რუსეთის მთავრობის მიერ არ იქნება მიღებული. ერთად ერთი აქტი, რომელიც აწესრიგებს სრუტეების საკითხს, არის რუსეთ-ოსმალეთის შორის 1921 წ. დადებული ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს სრუტეებში თავისუფალ მიმოსვლას, მხოლოდ სავაჭრო მიზნით. სრუტეების საერთაშორისო სტატუტის საბოლოოდ შემუშავების უფლება რჩებათ შავი ზღვის ხანაპირა ხალხმწიფოებს. რუსეთს, ოსმალეთს, უკრაინას და საქართველოს არ შეუძლიათ აღიარონ სრუტეების საკითხის გადაწყვეტაში ჩარევის უფლება, მაშინაც კი თუ მოწინააღმდეგე თვალსაზრისი დამარცხებული იქნება სამხედრო და საზაო უპირატესობაზე.

აქცევს რა უურადღებას ამ მოსაზრებებს ვენეციაში განზრახულ ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის გამო, რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ ზემოაღნიშნულ თვალსაზრისის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება რუსეთის მიერ არ იქნება მიღებული. რუსეთის მთავრობა ოსმალეთის ომს უცქერის, როგორც ოსმალეთის ხალხის ბრძოლას თავის არსებობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. რუსეთის ხალხის მთელი სიმპატია ოსმალეთის მხარეზეა. რუსეთს არ ხურს ხელი შეუშალოს ოსმალეთის ხალხს ამ ბრძოლაში. პირიქით იგი გაბარებულია ოსმალეთის გამარჯვებით მცირე აზიაში. რუსეთი მზად იყო ყოველი ღონე ეხმარა ამ ომის შესაწყვეტად, მაგრამ რუსეთის ყოველგვარ ცდას ამ სფეროში, დიდ-ბრიტანეთი კატეგორიული უარით ხვდებოდა. რუსეთი ეხლაც მზად არის იხმაროს ძალღონე, რათა მიღებულ იქნეს შეთანხმება ოსმალეთსა და მის მოწინააღმდეგე ხალხმწიფოებს შორის, მაგრამ ანტანტის ხალხმწიფოთა პოლიტიკა ძალიან მცირე ხაფუძველს იძლევა ამისათვის, რომ მშვიდობიანის გზით იქნეს გადაწყვეტილი ახლო-აღმოსავლეთის კონფლიქტი.

ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციის გამო.

რომი, 13 სექტემბერი. ანგორის მისიის მეთაურმა რომში განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ანგორის მთავრობა არ იწონებს კონფერენციის მოწვევას ვენეციაში და ამჯობინებს გამართოს უშუალო მოლაპარაკება ბერძნებთან.

ბორდო, 13 სექტემბერი. საფრანგეთმა მიიღო წინადადება ვენეციაში კონფერენციის მოწვევის შესახებ. ამ პირობით, თუ ინგლისი თანახმა იქნება ამ კონფერენციისა. ინგლისი თავის მხრივ ფიქრობს, რომ გაცილებით უკეთესია დაუცადონ პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობის გამორკვევას და მხოლოდ შემდეგ მოწვეულ იქნეს ესა თუ ის კონფერენცია.

ბორდო 13 სექტემბერი. იტალიის მთავრობამ მიიღო ინგლისიის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან ცნობა, რომ ინგლისის მთავრობას ნაადრევად მიაჩნია ვენეციაში კონფერენციის მოწვევა და ფიქრობს, რომ საჭიროა მოწვეულ იქნეს მოკავშირეთაშორისო დიდი კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხის გადასაწყვეტად.

ოსმალეთ საბერძნეთის ომი

კონსტანტინოპოლის საკითხი

ნაუენი. 13 სექტემბერი. გაზ „პტი-პარიზიენის ცნობით კონსტანტინოპოლის და ანგორის მთავრობები დაჟინებით მოითხოვენ ოსმალეთისათვის ადრიანოპოლის დაბრუნებას, თუმცა თანახმანი არიან სრუტეების თავისუფლების აღდგენისა იმ პირობით, თუ რომ დაცული იქნება კონსტანტინოპოლი და გარანტია მიეცემა ოსმალეთის სუვერენიტეტს კერძოდ კონსტანტინოპოლის რაიონში.

ნაუენი. 13 სექტემბერი. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას კონსტანტინოპოლი ქემალისტებისაგან მუსლიმანურმა საზოგადოებებმა და ორგანიზაცებმა ინგლისში პროტესტი განაცხადეს ინგლისის მიერ სმირნაში და სრუტეებში სამხედრო გემების გაგზავნის წინააღმდეგ.

ბორდო 13 სექტემბერი. მოკავშირეთა კომისრებმა კონსტანტინოპოლში განუცხადეს ანგორის მთავრობის წარმომადგენლობას, რომ ისინი იმედოვნებენ, რომ ქემალისტები არ დაარღვევენ კონსტანტინოპოლის და დარდანელის რაიონების ნეიტრალობას.

ჰანოვერი. 13 სექტემბერი. კონსტანტინოპოლის მთმვრობის პარიზის წარმომადგენელმა განუცხადა გაზ. „პტი-პარიზიენის“ თანამშრომელს, რომ მისი მთავრობაც მოითხოვს ბერძნების მიერ ადრიანოპოლის დაცლას და სრუტეების განთავისუფლებას.

ნაუენი. 13 სექტემბერი. ინგლისის პრესა ძალზე შეშფოთებულია მცირე აზიის მდგომარეობით და კონსტანტინოპოლის მომავალი მმართველობის საკითხით.

სმირნაში

ბორდო. 13 სექტემბერი. სმირნის გუბერნატორი ნურრედინ-ფაშა შეუდგა ქალაქის პოლიციის შედგენას.

რომი 13 სექტემბერი. ოსმალეთის ჯარები სავსებით წესიერად იქცევიან. ინგლისის პატრულები და ინგლისის საელჩოების სადარაჯოები გაუქმებულია.

მოკავშირეთა პოზიცია

რომი. 13 სექტემბერი. იტალიის პრესა უკეთებს რა კომენტარიებს ახლო აღმოსავლეთის ამბებს, აღნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ოსმალეთის ჯარების შეტევას იტალიის პროგრამისათვის ახლო აღმოსავლეთში. იტალია, თუმცა ევროპის ინტერესებს მაღლა აყენებს თავის ინტერესებზე, მაგრამ მაინც ვერ აჩნევს იმას, რომ ოსმალეთის გამარჯვება რა ზიანსაც აყენებს ამ ინტერესებს და ფიქრობს, რომ მცირე აზიის ოსმალეთისათვის დაბრუნებით აღდგენილი იქნება წონასწორობა ბალკანეთში.

ნეიტრალური ზონა.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. მოკავშირეთა შორის მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება, რომლის ძალითაც ოსმალეთს არ შეუძლია დაიკავოს მცირე აზიის სანაპიროების ნეიტრალური ზონა. დადგენილია გაგზავნილ იქნეს შერეული ინგლის საფრანგეთ-იტალიის გარნიზონები იმ ადგილებში, სადაც დგანან ერთი რომელიმე მოკავშირე სახელმწიფოს ჯარები.

სმირნაში.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. სმირნიდან გახიზნული ამერიკელი და სხვა ქრისტიანი ლტოლვილები აცხადებენ, რომ უკანდახევის დროს ბერძნები საშინელ სიმხეცეს იჩენდენ მუსლიმან-მცხოვრებლებისადმი.

კონსტანტინოპოლში

მოსკოვი. 14 სექტემბერი. კონსტანტინოპოლის მცხოვრებლებმა დიდი ზეიმით იდღესასწაულეს ოსმალეთის ჯარების გამარჯვება და ქუჩებში მოაწყვეს მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები.

მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, მანიფესტაციებმა მოახერხეს საბერძნეთის მისიის შენობისათვის ზიანის მიყენება და რუმინიის მისიის და სხვა ევროპის დაწესებულებათა შენობების ფანჯრების ჩალეწვა.

ფერიდ ბეის განცხადება.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. ინგლისის წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია ფერიდ-ბეის განცხადებამ, რომელიც გამოქვეყნებულია საფრანგეთის პრესაში. ფერიდ ბეი აღნიშნავს, რომ თუმცა ინგლისელებს დაკავებული აქვთ კონსტანტინოპოლი, მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ადრიანოპოლისაკენ მოდის მეორე გზა—მესოპოტამიის ხაშუალებით.

დროებითი ზავი.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. ანგორიდან პარიზში მიღებულია დეპეშა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ დროებითი ზავის ჩამოგდების ერთად ერთი ხაშუალება არის ბერძნების მხრივ უშუალო მიმართვა ანგორის მთავრობისადმი. ოსმალეთი მოითხოვს მცირე აზიის და ფრაკიის ევაკუაციას, კონსტანტინოპოლთურთ, ბერძნების ხაზავ-სამხედრო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანას ნავთსადგურებიდან და ზარალის ანაზღაურებას.

ინგლისის პრესის გამოძახილი.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. მცირე აზიაში მოსხდარმა ამბებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ლონდონის პრესაში. გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა არ უნდა გაუშვას მხედველობიდან ის გარემოება, რომ მოსკოვსა და ანგორას შორის მეგობრული განწყობილება დღითი დღე მტკიცდება. თუ რომ შავი ზღვა გადაიქცევა რუსეთ-ოსმალეთის ტბად, მაშინ იტალია და საფრანგეთი იძულებულნი იქნებიან დასტოვონ შავი ზღვა.

გაზ. „მანჩესტერი გარდიანი“ იმედოვნებს, რომ საფრანგეთის სიხარული, რომელიც გამოწვეულია ქემალის გამარჯვებით, ხელს არ შეუშლის საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გაითვალისწინოს მდგომარეობის მთელი საშიშროება.

საფრანგეთის პრესა ძალიან თავშეკავებულია. აღნიშნავს რა ოსმალეთის ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებას, პარიზის პრესა უყურადღებოთ სტოვებს კონსტანტინოპოლის და ადრიანოპოლის საკითხს.

ინდოეთის პროტესტი.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. ბრიტანეთის მთავრობას ინდოეთის სხვა და სხვა ადგილებიდან მოსდის (ნობები, მრავალ რიცხოვან დემონსტრაციების შესახებ, რომელიც გამოწვეულია ბრიტანეთის სამხედრო გემების სმირნაში გაგზავნით.

ახლო აღმოსავლეთში

ამ უკანასკნელ ხანებში დიდათ ღირსშესანიშნავ ამბებს აქვს ადგილი ახლო აღმოსავლეთში.

რამდენიმე წლის უკან ოსმალეთის გულში, ანგორაში დაწყებულმა ეროვნულმა მოძრაობამ ფართოდ გაშალა ფრთები და დაეპატრონა თითქმის მთელ მცირე აზიას.

ოსმალეთის ჯარების მამაცურმა ბრძოლამ ევროპისა და განსაკუთრებით საბერძნეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ თავისი ნაყოფი გამოიღო. საბერძნეთის ჯარებისაგან, რომლებიც შეპარული იყვენ მცირე აზიის გულში და ასრულებდენ მტაცებელ იმპერიალისტების ბნელ მძარცველურ ზრახვებს, ნაფლეთებიდა დარჩა. ის განდევნილია ოსმალეთის ეროვნულ საზღვრებიდან და მუხლმოდრეკილი დგას ეროვნულ განმათავისუფლებელ არმიის წინაშე.

ოსმალეთის ხალხის ეს დიდი გამარჯვება ევროპის იმპერიალისტებზე დიდ საგონებელში აგდებს ევროპის სახელმწიფოებს და განსაკუთრებით ინგლისს. ინგლის-საფრანგეთის ჩუმი ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის საკითხის გარშემო პირველის დამარცხებით მთავრდება. და ამიტომ განსაკვირიც არაა ის შიშიანობა და პანიკა, რომელიც სუფევს დღეს ლონდონში, როგორც სავაჭრო-სამრეწველო წრეებში, ისე მთავრობაშიაც.

საფრანგეთი, რომელიც ვერ უთანხმდებოდა ინგლისს გერმანიის პირობების შესახებ, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გადაეტანა ინგლისის ყურადღების უმთავრეს ცენტრი გერმანიის პრობლემიდან ახლო აღმოსავლეთზე, რათა შემდეგ თავისუფლად მოეგვარებია თავის ინტერესების სასარგებლოთ გერმანიის პრობლემა, უმთავრესათ კი რეპარაციის საკითხი.

და საფრანგეთი კიდევაც გამოდის გამარჯვებული.

ინგლისის უმთავრეს ყურადღებას იპყრობს დღეს ოსმალეთის არმიის გამარჯვების გამო ახლო აღმოსავლეთი და განსაკუთრებით მუხლმანური ხალხებით დასახლებული მისი კოლონიები (ინდოეთი, არაბეთი, მესოპოტამია და სხვ.).

სრუტეების საკითხი, რომელიც ინგლისს ეგონა გადაწყვეტილი და მოგვარებული იყო სევრის ხელშეკრულების ძალით 1919 წ., დღეს ისევ დგება მთელი თავის სიმწვავით. ინგლისი მშვენივრათ ამჩნევს დღეს, რომ სევრის ხელშეკრულება მხოლოდ ქალაღლის ნაფლეთიღა რჩება და სრუტეების პრობლემა, რომელიც ბევრჯელ ყოფილა „გადაჭრილი“, ისევ გადასაჭრელათ აყენებს.

მეორეს მხრით, ოსმალეთის ხალხის ეს გამარჯვება დიდ ენერგიას მატებს და გამამხნევებელ სულს ბერავს მუსულმან ქვეყნების მოსახლეობას, რომლებიც გმინავენ და სულს ღაფავენ ინგლისის იმპერიალიზმის მძიმე უღლის ქვეშ. მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთის ეს ქვეყნები, რომლებიც ინგლისის კოლონიებს წარმოადგენენ, ეკვრიან ოსმალეთის საზღვრებს.

და ეს რომ ასეა, ამას აშკარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ოსმალეთის გამარჯვების გამო არაბეთში გაძლიერდა ნაციონალური მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ. დეპეშებიდან ვტყობილობთ, რომ არაბები მოითხოვენ სრულ დამოუკიდებლობას და ინგლისის უღლისაგან განთავისუფლებას. იწყება აჯანყება მესოპოტამიაშიც, სადაც სასტიკი ზომების მიღება უხდება ინგლისს აჯანყებულების წინააღმდეგ. ასევე ხდება სხვაგანაც

ყველაფერი ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ინგლისის მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, ოსმალეთის გამარჯვების გამო მეტის მეტად რთულდება.

როგორ მოიქცევა ინგლისი, რა გზას დაადგება ის თავისი მდგომარეობის გამოსაკეთებლათ და სევრის ხელშეკრულებით „მოპოვებულ“ მისი ინტერესებისათვის სასარგებლო უფლების შესანარჩუნებლათ, და რამდენათ, რა ზომამდე გაიზრდება ამ წიაღაგზე საფრანგეთ-ინგლისის უთანხმოება და დავა, და რა ფორმებს მიიღებს ის, ძნელია ამის თქმა წინდაწინ, მაგრამ ერთი კი ცხადია: ევროპის იმპერიალისტების ბატონობა აღმოსავლეთის ჩამორჩენილ მუსულმანურ ხალხებზე ოსმალეთის ეროვნული არმიის გამარჯვების გამო დიდ საფრთხეში ჩავარდა. და ღღითი ღღე მას საფუძველი ეთხრება.

———ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲐ———

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ

კონსტანტინოპოლის საკითხი

ნაუენი. 13 სექტემბერი. გაზ „პტი-პარიზიენის ცნობით კონსტანტინოპოლის და ანგორის მთავრობები დაჟინებით მოითხოვენ ოსმალეთისათვის ადრიანოპოლის დაბრუნებას, თუმცა თანახმანი არიან სრუტეების თავისუფლების აღდგენისა იმ პირობით, თუ რომ დაცული იქნება კონსტანტინოპოლი და გარანტია მიეცემა ოსმალეთის სუვერენიტეტს კერძოდ კონსტანტინოპოლის რაიონში.

ნაუენი. 13 სექტემბერი. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას კონსტანტინოპოლი ქემალისტებისაგან მუსლიმანურმა საზოგადოებებმა და ორგანიზაცებმა ინგლისში პროტესტი განაცხადეს ინგლისის მიერ სმირნაში და სრუტეებში სამხედრო გემების გაგზავნის წინააღმდეგ.

ბორდო 13 სექტემბერი. მოკავშირეთა კომისრებმა კონსტანტინოპოლში განუცხადეს ანგორის მთავრობის წარმომადგენლობას, რომ ისინი იმედოვნებენ, რომ ქემალისტები არ დაარღვევენ კონსტანტინოპოლის და დარდანელის რაიონების ნეიტრალობას.

ჰანოვერი. 13 სექტემბერი. კონსტანტინოპოლის მთმვრობის პარიზის წარმომადგენელმა განუცხადა გაზ. „პტი-პარიზიენის“ თანამშრომელს, რომ მისი მთავრობაც მოითხოვს ბერძნების მიერ ადრიანოპოლის დაცლას და სრუტეების განთავისუფლებას.

ნაუენი. 13 სექტემბერი. ინგლისის პრესა ძალზე შეშფოთებულია მცირე აზიის მდგომარეობით და კონსტანტინოპოლის მომავალი მმართველობის საკითხით.

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ

ნაუენი. 13 სექტემბერი. საბერძნეთის სავაჭრო ფირმების უმრავლესობა მოითხოვს ვენიზელოსის საბერძნეთში დაბრუნებას. კომერსანტები მომხრენი არიან სამხედრო დიკტატურისაც მეტაქსის მეთაურობით.

ჰანოვერი. 13 სექტემბერი. იმ ხმების საწინააღმდეგოთ, რომ თითქმის საბერძნეთი სთხოვს დახმარებას სამხრეთ-სლავიას და რუმინიას საზავო მოლაპარაკების დროს, პარიზის პოლიტიკური წრეები დაუჯერებლად სთვლიან სამხრეთ სლავიის დახმარებას, ვინაიდან ერთ დროს სამხრეთ-სლავია წინააღმდეგი იყო საბერძნეთის მცირე ანტანტის შემადგენლობაში მიღებისა იმ მოსაზრებით, რომ მცირე ანტანტა სცდილობს ბალკანეთში ომიანობის მოსპობას, და ამიტომ მას არ შეუძლია თავის კავშირში შეიყვანოს ის სახელმწიფო, რომელიც ომს აწარმოებს.

ᲡᲛᲘᲠᲜᲐᲨᲘ

ბორდო. 13 სექტემბერი. სმირნის გუბერნატორი ნურრედინ-ფაშა შეუდგა ქალაქის პოლიციის შედგენას.

რომი 13 სექტემბერი. ოსმალეთის ჯარები სავსებით წესიერად იქცევიან. ინგლისის პატრულები და ინგლისის საელჩოების სადარაჯოები გაუქმებულია.

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

რომი. 13 სექტემბერი. იტალიის პრესა უკეთებს რა კომენტარიებს ახლო აღმოსავლეთის ამბებს, აღნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ოსმალეთის ჯარების შეტევას იტალიის პროგრამისათვის ახლო აღმოსავლეთში. იტალია, თუმცა ევროპის ინტერესებს მაღლა აყენებს თავის ინტერესებზე, მაგრამ მაინც ვერ აჩნევს იმას, რომ ოსმალეთის გამარჯვება რა ზიანსაც აყენებს ამ ინტერესებს და ფიქრობს, რომ მცირე აზიის ოსმალეთისათვის დაბრუნებით აღდგენილი იქნება წონასწორობა ბალკანეთში.

ნეიტრალური ზონა.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. მოკავშირეთა შორის მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება, რომლის ძალითაც ოსმალეთს არ შეუძლია დაიკავოს მცირე აზიის სანაპიროების ნეიტრალური ზონა. დადგენილია გაგზავნილ იქნეს შერეული ინგლის საფრანგეთ-იტალიის გარნიზონები იმ ადგილებში, სადაც დგანან ერთი რომელიმე მოკავშირე სახელმწიფოს ჯარები.

სმირნაში.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. სმირნიდან გახიზნული ამერიკელი და სხვა ქრისტიანი ლტოლვილები აცხადებენ, რომ უკანდახევის დროს ბერძნები საშინელ სიმხეცეს იჩენდენ მუსლიმან-მცხოვრებლებისადმი.

კონსტანტინოპოლში

მოსკოვი. 14 სექტემბერი. კონსტანტინოპოლის მცხოვრებლებმა დიდი ზეიმით იდღესასწაულეს ოსმალეთის ჯარების გამარჯვება და ქუჩებში მოაწყვეს მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები.

მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, მანიფესტაციებმა მოახერხეს საბერძნეთის მისიის შენობისათვის ზიანის მიყენება და რუმინიის მისიის და სხვა ევროპის დაწესებულებათა შენობების ფანჯრების ჩალეწვა.

ფერიდ ბეის განცხადება.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. ინგლისის წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია ფერიდ-ბეის განცხადებამ, რომელიც გამოქვეყნებულია საფრანგეთის პრესაში. ფერიდ ბეი აღნიშნავს, რომ თუმცა ინგლისელებს დაკავებული აქვთ კონსტანტინოპოლი, მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ადრიანოპოლისაკენ მოდის მეორე გზა—მესოპოტამიის ხაშუალებით.

დროებითი ზავი.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. ანგორიდან პარიზში მიღებულია დეპეშა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ დროებითი ზავის ჩამოგდების ერთად ერთი ხაშუალება არის ბერძნების მხრივ უშუალო მიმართვა ანგორის მთავრობისადმი. ოსმალეთი მოითხოვს მცირე აზიის და ფრაკიის ევაკუაციას, კონსტანტინოპოლთურთ, ბერძნების ხაზავ-სამხედრო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანას ნავთსადგურებიდან და ზარალის ანაზღაურებას.

ინგლისის პრესის გამოძახილი.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. მცირე აზიაში მოსხდარმა ამბებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ლონდონის პრესაში. გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა არ უნდა გაუშვას მხედველობიდან ის გარემოება, რომ მოსკოვსა და ანგორას შორის მეგობრული განწყობილება დღითი დღე მტკიცდება. თუ რომ შავი ზღვა გადაიქცევა რუსეთ-ოსმალეთის ტბად, მაშინ იტალია და საფრანგეთი იძულებულნი იქნებიან დასტოვონ შავი ზღვა.

გაზ. „მანჩესტერი გარდიანი“ იმედოვნებს,

იმდენად მეჩვენება, რომ ამ შეუძლებელია საკითხების ცალკე და დამოუკიდებლად განხილვა და გადაწყვეტა. იაპონიის მოქალაქეთა უფლებების დამყარება მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ნიშნავს იაპონიის მოქალაქეთა უფლებების მთელი რუსეთის ტერიტორიაზე დამყარებას, რაც შეუძლებელია იკანასკნელთან შეუთანხმებლად. რუსეთის ხალხი მაუხედავად იაპონიის საიმპერატორო მთავრობის მისდამი მტრული პოლიტიკისა, არ არის მტრულად განწყობილი იაპონიის ხალხის მიმართ. თავისი ერის ნებისყოფის სრული გამოხატვით რ. ს. ს. ფ. რ. და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობები მზად არიან დაიდაწყონ წარსული და შეთანხმების ხელი გაუწოდონ იაპონიას, მაგრამ ისინი ვერ დასთანხმდებიან მოლაპარაკებაზე, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ ერთი მხარის ინტერესი.

იაპონიის ჯარების ევაკუაცია და იაპონიის ხელისუფლების მიერ წართმეულ ქონების უკან დაბრუნება ვერ არის საკმაო კომპენსაცია რ. ს. ს. ფ. რ. და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკისათვის, რადგან ნაენებული ქონება—რუსეთის ხალხის საკუთრება—მაინც უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მესაკუთრეს, წარმოებულ მოლაპარაკების მსვლელობისაგან დამოუკიდებლად.

რ. ს. ს. ფ. რ. და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა, სდგანან რიმ თვალსაზრისზე, რომ საჭიროა შეთანხმების შემუშავება და სწორის მოწერა უპირველესად ყოველისა ერთიან პრინციპიალურ საკითხებზე და შემდეგ კერძო ხასიათის საკითხების განხილვაზე გადასვლა. ფიქრობენ, რომ ასეთი საერთო შეთანხმება არ შეიძლება წარმოადგენდეს ეგრეთ წოდებულ დაირენის პროექტის უბრალო აღდგენას და უნდა იქნეს გაფართოვებული. დაირენში სწარმოებდა მოლაპარაკება მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკასა და იაპონიის შორის. ჩანჩურნში სწარმოებს მოლაპარაკება რ. ს. ს. ფ. რ. და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ერთის მხრივ და იაპონიის შორის მეორეს მხრივ.

დასასრულ რ. ს. ს. ფ. რ. და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დელეგაციები კიდევ ერთხელ მიუთითებენ, რომ ისინი მზად არიან დასდონ სრული შეთანხმება იაპონიასთან ზემოდ ჩამოთვლილ დებულებების საფუძველზე.

ტვირთზიდვის გადასახადის დროზე შემოტანა თავდებია ტფილისის ელექტროფიკაციისა. ქალაქის გამშვენიერება—გაშენება—ეს თვით მოსახლეობის საქმეა.

გერმანია და ანტანტა

გერმანია და ბელგიის შორის მოლაპარაკება.

ნაუენი. 13 სექტემბერი (რადიო). პარიზიდან მიღებულ ცნობების წინააღმდეგ, „დეილი ტელეგრაფი" ფიქრობს, რომ გერმანია და ბელგიის შორის მოლაპარაკება სრულიად უშედეგოდ დამთავრდა.

ჰანოვერი. 13 სექტემბერი (რადიო). კანცლერ ვირტმა განაცხადა, რომ სრულებით სასურველი არ არის ის პოზიცია, რომელიც დაკავებული აქვს ბელგიას, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება როგორც გერმანიას, ისე ევროპის ინტერესებს. ვირტს გონია, რომ საკონტრიბუციო კომისია არ იქნებოდა წინააღმდეგი იმ შეთანხმების, რომელიც ბელგიის დელეგატების მიერ მისაღები შეიქნენ. საბოლოოდ ვირტმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა მიიღებს ყოველგვარ წინადადებას, რომელიც არ იქნება ეროვნულ ინტერესების წინააღმდეგ მიმართული, და უარყოფს ისეთ ვალდებულებების მიღებას, რომელთა კეთილ სინდისიერად შესრულება გერმანიას არ ძალუძს.

ჰანოვერი. 13 სექტემბერი (რადიო). „ლოკალ ანეიგერის" ცნობით, კანცლერ ვირტს განზრახული აქვს რამდენიმე დღით აიღოს შვებულება.

სტრეზემანის განცხადება.

ნიუენი. 13 სექტემბერი (რადიო) კენისბერგში გერმანიის ეროვნულ პარტიის ლიდერმა სტრეზემანმა განაცხადა, რომ საფრანგეთმა უნდა შეიგნოს ის აზრი, რომ, თუკი მისი პოლიტიკა არ იქნა ზომიერი, გერმანიის მუშები არ იმუშავებენ მხოლოდ კონტრიბუციისათვის.

გერმანიის წინადადება.

ნაუენი. 13 სექტემბერი (რადიო). „მატენ"-ის თანამშრომელთან ინტერვიუს დროს, ვირტმა განაცხადა, რადგანაც სვხელმწიფო ბანკი ვალდებულია დაიცვას თავისი კომერციული დირსება, მას არ აქვს შესაძლებლობა ექვსი თვის გასვლამდე გადაიხადოს 207 მილიონი მარკა ოქროთი. მაგრამ, სახელმწიფო ბანკს შეუძლია მისცეს საქმიანი წინადადებები რომელნიც არ ეწინააღმდეგებიან საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილებას და რომელიც მიიღებს ამ წინადადებებს, რით არც ერთი დღე არ იქნება დაკარგული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ინგლისი და ანტანტა

ინგლისი. 8 სექტემბერი. ჩვენი არმიის მარჯვენა ფლანგმა ხელახლად დაიპირა ინგუელი. ჩვენ წავართვით და დავიჭერ რეთ პოზიციები, რომელიც დაზადებული იყო მოწინააღმდეგის მიერ ბრუსიდან აღმოსავლეთით. ცენტრში ჩვენ დავიპირეთ სინგირგი და ვიგად. ჩ. ჩვენი ავანგარდი ბალიკეთის მიდამოებს უახლოვდება. მარცხენა ფლანგზე ჩვენ დავიპირეთ ტარგუდლუ და ეიდელინში.

ჩვენი ჯარები შეტევის დროს მიუახლოვდნენ მაგნეზიის რაიონს. მოწინააღმდეგე სწვავს ყველა ჩვენს ქალაქებს და სოფლებს, რომელთა ევაკუაცია მას უხდება. მან გადასწვა ტორგუდლა (კასაბა) და მაგნეზია და აგრეთვე განაპირა სოფლები. მოწინააღმდეგე მცხოვრებლებს ძლიერ სასტიკათ ეპყრობა, რომლის მიზანია, მისი სისტემატიურად ამოწყვეტა. ამ გვარად, იმ დროს, როდესაც მოწინააღმდეგე საგანგებოდ შედგენილ რაზმების საშუალებით სძარცვავს ქალაქებსა და სოფლებს და სწვავს რელიგიურ შენობებს,—მისი სხვა რაზმები გარს ერტყმიან ცალცალ მოდებულ რაიონებს და ფლეტენ მცხოვრებლებს, რომელნიც შეეცდებიან თავის გადარჩენას. ამ გვარად ბევრი უდანაშაულო დაიღუპა ცეცხლში. ამ მხეცების გარდა ჩვენ ვაცნობებთ ყველას, რომ მოწინააღმდეგე სცემს ჩვენ ტყვეებს, რომელნიც ხელში ჩაუვარდათ წინანდელ და მამდანარე ოპერაციების დროს. აშკარაა აგრეთვე, რომ საბერძნეთის არმიაში არის ინგლისის ოფიცრები.

ანგორა. 10 სექტემბერი. დღეს ხელში ჩაგვივარდა ერთი პოლკი და ბატარეია სმირნიდან დასავლეთით, ჩვენი წინსვლა ბრუსის სექტორში გრძელდება.

მოკავშირეების პოზიცია

ბორდო. 13 სექტ. (რადიო). ლონდონსა და პარიზს შორის სწარმოებს დაუცხრომელი მოლაპარაკება, უკანასკნელ დროს მოხსენიებულ ამბების გამო მათ მომავალი პოლიტიკის შესახებ ახლო აღმოსავლეთში.

ბორდო. 13 სექტ. (რადიო). მოკავშირეთა უმაღლეს კომისრებმა გადწყვიტეს ნეიტრალურ ზონის საზღვარზე გამოფენონ მოკავშირეთა დროშა. ინგლისის მთავრობამ შეიტანა ერთა ლიგაში ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ სტამბოლის და გალიპოლიის ნახევარ კუნძულის დაცვის საქმეში ლიგას შეუძლია დაეყრდნოს მოკავშირეებს. თუ ეცა წინადაწინ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ ზომავალ სხდომაზე საფრანგეთის კაბინეტის გადაწყვეტილებას, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთი, ისე, როგორც ინგლისი, სდგას სრულიად სრული თავისუფლების პრინციპის პოზიციაზე.

რომი. 13 სექტ. (რადიო). იტალიის მინისტრთა საჭემ გუშინდელ სხდომაზე განიხილა საკითხები დაკავშირებული ახლო-აღმოსავლეთის მდგომარეობასთან.

პალესტინაში

ბორდო. 13 სექტემბერი (რადიო), ორშაბათს იერუსალიმში მოხდა გამოცხადება ინგლისის მანდატისა პალესტინაზე. ინგლისის უმაღლეს კომისარმა გერმერტ სამუელმა აღიარა ძალა უფლება ხელთ და გამოაცხადა დეკლარაციით თავისი მომავალი მოქმედების შესახებ.

ნაუენი. 13 სექტემბერი (რადიო). ინგლისის მიერ პალესტინაზე მანდატის გამოცხადების გამო, არაბებმა ნიშნად პროტესტისა, 24 სათით დაკეტეს სავაჭროები და გამოაცხადეს ნაციონალური ტრაური.

სხვა და სხვა ამბები

კატტოვიცი.

ნაუენი. 13 სექტემბერი. კატოვიცში მომხდარ არეულობის გამო ქალაქი დაცულია ტყვეისმფრქვეველებით და ზარბაზნებით შეიარაღებული ჯარებით.

ლოიდ-ჯორჯის მოგზაურობის გამო

ნაუენი. 13 სექტემბერი (რადიო). „ეურნალ დე ჟენევის" ცნობით, ლოიდ ჯორჯს ჟენევაში მოელინენ მომავალ კვირაში. შესაძლებელია, რომ მან განიხილოს არა მარტო აღმოსავლეთის საკითხები, არამედ საკონტრიბუციო საკითხებიც. ლონდონში ფიქრობენ, რომ იგი გზაზე შეხვდება პუანკარეს.

ერთა ლიგის კომისიებში

ბორდო, 13 სექტემბერი (რადიო) ერთა ლიგის კომისიებში განხილული იქნა შემდეგი საკითხები: მოდავე სახელმწიფოთა შერიგების წესის შესახებ; ერთა ლიგის საგიგენო დაწესებულებათა ფორმების შესახებ; ლორდ სესილის მიერ წარდგენილი პროექტი ხელშეკრულებისა განიარაღების გარანტიების უზრუნველსაყოფად; მოხსენება სათათბირო კომისიის ვაჭრობის და ოპიუმის წარმოების შესახებ და საკითხი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ.

პილსუდსკის გამგზავრება რუმინიაში.

ბორდო 13 სექტემბერი (რადიო). პილსუდსკი შინაგან საქმეთა მინისტრის თანხლებით გაემგზავრა რუმინიაში.

დეპუტატ ჰერიოს განგზავრება რუსეთში.

ბორდო. 13 სექტემბერი (რადიო). „პეტიტ ჟურნალის" თანამშრომელთან საუბრის დროს, რუსეთში მიმავალ საფრანგეთის დეპუტატმა ჰერიომ განაცხადა, რომ იგი მიემგზავრება ბერლინში, სადაც მიიღებს ვიზას რუსეთში წასასვლელად საბჭოთა წარმომადგენლობისგან. ჰერიო [illegible] როგორც კერძო პირი [illegible] ბრივად რუსეთის მდგომარეობის [illegible] საცნობად და ისეთი საქმის გასა[illegible] თებლად, რომლის დადასტურება ორივე ქვეყნის მთავრობებისგან მიზან[illegible] შეწონილი იქნება, როდესაც საქმე დამთავრდება. ჰერიოს სურს თავი[illegible] ქვეყნის ინტერესებისათვის მიღ[illegible] ყოველგვარი ზომები რუსეთსა [illegible] საფრანგეთს შორის მშვიდობიანობის დასამყარებლად.

შრომისა და ტვირთზიდვის ფულით შეცვლის შეტანის უკანასკნელ ვადად დანიშნულია სექტემბრის 15

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

ტელეფონი და ტელეგრაფი.

აფხაზეთის და ზუგდიდის მაზრის სუბნო მექანიკოსი ამხ. ჯოჯუა გაემგზავრა თბილისში, აფხაზეთისათვის სატელეგრაფო ქონებისა და მისადების დამატებით მიწოდებისათვის, რაც აუცილებელია აფხაზეთის საზღვრებში სიტელეგრაფო კავშირის გაფართოებისა და შეკეთებისათვის.

ამხ. ჯოჯუამ უკვე მისცა წინადადება მეორე ჯგუფს, დაუყონებლივ გაემგზავრონ ზუგდიდიდან, ზუგდიდის და გალის (სამურზაყანო) ტელეფონს ხაზის შესაკეთებლად.

ეს ხაზი წარმოადგენს საქართველოსა და აფხაზეთის შემაერთებელ საშუალებას და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადმინისტრატიული და ეკონომიური თვალსაზრისით. საქალაქო შორისო ტელეფონის ქსელის შეკეთებით და წესრიგში მოყვანის გზით, რომელიც დღემდე ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აფხაზეთს მიეცემა ტელეფონის შეერთების საშუალება—საქართველოს მოსაზღვრე სამაზრო ქალაქთან—ზუგდიდთან, რომელსაც მოეპოება საკმაოდ მოწესრიგებული სატელეფონო კავშირი ზუგდიდის, სენაკის და ქუთაისის მაზრების ყველა კუთხეებთან, თუ მივათვლით თვით ქალაქ ქუთაისსაც. მექანიკოს ჯოჯუას პირველი ბუნებათა ჯგუფი, რომელიც აწარმოებს სოხუმ-ოჩამჩირეს ტელეგრაფის ხაზის შეკეთებას, ამ დღეებში დაამთავრებს თავის მუშაობას და გაიგზავნება ზუდაუთის და პიცუნდის დანგრეულ ტელეფონის ხაზის აღსადგენად.

ბაფოსტო ურთიერთობის გაძლიერება.

აფხაზეთში მოწყობილმა რეგულარულმა ყოველკვირეულმა საფოსტო დამოკიდებულებამ განავითარა რესპონდენციების მოძრაობა. ამ მიზანად საფოსტო-სატელეგრაფო ადმინისტრაცია ცდილობს გამოძებნოს საშუალებანი, რათა კვირაში ორჯერ მოეწყოს რეგულიარული საფოსტო მოძრაობა.

დეპეშები ოსმალეთში.

მოეწყო დეპეშების მიღება აფხაზეთიდან ოსმალეთში. ახლო მომავალში მოეწყობა დეპეშების მიღება კიდევ სხვა უცხოეთის ქალაქებში. ოსმალეთში გასაგზავნი დეპეშის სიტყვიერის 16,000 მანეთი.

ხასურხათო გადასახადის კამპანია.

სამურზაყანოში დაწყებული სასურსათო გადასახადის კამპანია ნაყოფიერად მიმდინარეობს. გლეხები დიდი თანაგრძნობით ეპყრობიან გადასახადს და გამოაქვთ რეზოლიუციები გადასახადის ჩაბარების შესახებ.

მოქალაქენო, დაიჩქარეთ თქვენი მოვალეობის შესრულება, შეიტანეთ ტვირთზიდვის გადასახადი!

ქრონიკა

◆ **გატანის ნებართვა.** ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის კერძო ვაჭრობის ქვე-განყოფილებამ აგვისტოს განმავლობაში გასცა—135 ნებართვა, აქედან კოოპერატიულ ორგანიზაციებს—28, სახელმწიფო დაწესებულებებს—8, საზღვარგარეთელ ფირმებს—12. ნებადართულია გატანა: ჯავარის—2618 ფ. მატყლის—16350 ფ, ბამბის—6500 ფ., ცხვრის ტყავი—8900 ფ. და 200 ც, თევზი—1688, წყალი—1[illegible] ფ., თამბაქო—7180 ფ., ხალიჩა—105 ფ., თხილი—30 015 ფ, ხაჩიჩალა 1200 ფ., ძირნალი—750 ფ., [illegible] ქარი 3.500 ფ.

◆ **მუშათა სახლების შეკეთება.** მუშათა სახლების შემკეთებელ კომისიაში, რომელიც დაარსა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმმა, ქალაქის აღმასკომის წარმომადგენლად დანიშნულია ამხ. ლონტი და კანდიდატად ამხ. ბურჯანაძე.

ტყელებს კულაკების ამხედრება [illegible] სურსათო გადასახადის წინააღმდეგ [illegible] თუ არ იმავე გაღარმავებულ კლასობრივ ბრძოლას. ბანდების თავზედამოქმედება და გაძოსვლები [illegible] ჩვენში ნუ თუ საეჭვოდ ხდის ვ[illegible] მესვეს, რომ მუშათა კლასის მტრ[illegible] არ სძინავთ და მოწყურებულნი [illegible] ან დაიქციონ მისი სისხლი? მუშათა ექსპლოატაცია, შრომის კანონ[illegible] სისტემატიური დარღვევა მწარმოებლების მიერ და ხელისუფლების [illegible] ტიკი ბრძოლა ამის წინააღმდეგ [illegible] კლასობრივ ბრძოლის სისუსტეს [illegible] მობს ჩვენში?

ყველა ამის შემდეგ უფლება გვაქვ[illegible] ვთქვათ, რომ კლასობრივი ბრძ[illegible] ჩვენში არც ისე სუსტია, როგორ[illegible] ამბ. ამაღლობელი გვარწმუნებს.

ამ გვარად, არა იდეოლოგიას [illegible] აქვს სხვა და სხვაობა ჩვენი საზო[illegible] დოების მთლიანობაში, არამედ ეს [illegible] ტაგონიზმი, ინტერესთა წინააღმდეგ[illegible] ბა არსებობს თვით საზოგადოებ[illegible] ხოლო პოლიტიკური ჯგუფები [illegible] იდეოლოგიით აღმოცენებული [illegible] არსებულ საზოგადოებრივი ძალ[illegible] ურთიერთობის ნიადაგზე.

ამასვე ვამბობდით ჩვენ პირველწყ[illegible] ლში ტ დავძენდით, რომ მხოლოთ ისე[illegible] პოლიტიკურ ჯგუფებს და სოციალ[illegible] იდეოლოგიას აქვს ძალა, რომელ[illegible] გამომხატველია არსებულ კლასებ[illegible] ინტერესების.

ამ სიტყვებში ამხ. ამაღლობ[illegible] რაღაც ნაირად იდეოლოგიის რო[illegible] შესახებ თავის აზრის დადასტურ[illegible] დაუნახავს და დასძენს: „ჩვენც მ[illegible] არას ვამბობდითო" („ტრიბუნა" 28[illegible] თქვენ ამბობდით, რომ ისეთ იდ[illegible] ლოგიას შეაქვს სხვაობა საზოგადო[illegible] ბის მთლიანობაში, რომელსაც [illegible] მოეპოვება საფუძველი საზოგადო[illegible] ცხოვრებაშიო, ჩვენ ასეთი რამ [illegible] რადაც არ მოგვლია. ხოლო თუ [illegible] ვამბობდით, ამაზე ზევით გვქონ[illegible] ლაპარაკი.

[illegible]

კიდევ მოგონება—სექტემბრის 15 უკანასკნელი ვადა ტვირთზიდვის გადასახადის შესატანად.

იმავე საკითხზე

III *)

ჩვენი და „ტრიბუნა"-ს თანამშრომლის შეხედულებათა შორის ძირითადი განსხვავება ის არის, რომ ჩვენ ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას უდგებით და ვაფასებთ უწინარეს ყოველისა კლასობრივი და მატერიალისტური თვალსაზრისით, ხოლო ის კი თავისებურად გაგებულ ეროვნულ და იდეალისტურ თვალსაზრისით, ხოლო კლასობრივ მომენტს სადღაც ბნელ კუნჭულში ჩრის. იგი წერდა: „ჩვენში „კლასობრივი ცნობების ნაცვლად დიქტრინერული თვალსაზრისია გამეფებული. აქ მსოფლმხედველობა, იდეოლოგიაა უფრო სხვადასხვაობის შემქმნელ საზ გადოების მთლიანობაში, ვინემ კლასობრივი ინტერესი", და ცოტა ქვემოდ: „ჩვენში პოლიტიკურ ჯგუფების ხასიათს და საქართველოს სინამდვილის ეროვნული მომენტის აძლიერებას უდევს საფუძველად. ამ საკითხის გადაჭრით პრაქტიკულად თითქმის იჭრება თანამშრომლობის საკითხი" („ტრიბუნა" № 279) ჩვენ ვამბობდით, რომ პოლიტიკურ ჯგუფების დამოკიდებულებას ჩვენში საფუძვლად უდევს უმთავრესად კლასობრივი მომენტი და ამას ვამტკიცებდით, სხვათა შორის, რუსეთის მაგალითით, სადაც ეროვნულ საკითხს არა აქვს ადგილი, მაგრამ, მაუხედავად ამისა, იქ მენშევიკები, ესერები და სხვები აქტიურ ბრძოლას აწარმოებენ საბჭოთა რეჟიმისა და ხელისუფლების წინააღმდეგ. ამხ. ამაღლობელის ზემოდ ამოწერილ სიტყვებში ჩვენ დავინახეთ „კლასობრივ მომენტის მიჩქმალვა" და მისი „მნიშვნელობის თითქმის ნულამდე დაყვანა"; შემცდარად ჩავთვალეთ ჩვენი საზოგადოების ასეთი დახასიათება და გადაჭარბებულად ის როლი, რომელსაც ის აკუთნებს იდეოლოგიას. ჩვენი დისკუსიანტის სიტყვებიდან, რომ უფრო მსოფლმხედველობას შეაქვს სხვადასხვაობა ჩვენს საზოგადოების მთლიანობაში და ეროვნული საკითხის გადაჭრით პრაქტიკულად თითქმის იჭრება თანამშრომლობის საკითხი—სხვანაირი დასკვნის გამოყვანა მართლაც რომ შეუძლებელია.

წინააღმდეგ, ჩვენ ვწერდით, რომ კლასობრივი ბრძოლა ჩვენში ძლიერია, ის აძლევს შინაარსს და ბიმართულებას ჩვენ ცხოვრებას, მომქმედი პოლიტიკური პარტიებიც თავიანთი იდეოლოგიით აღმოცენებულია კლასთა ურთიერთობის ნიადაგზე და გამოხატავენ მათ ინტერესებს და ტენდენციებს.

ამხ. ამაღლობელი საპასუხოდ ამბობს, რომ ის წერდა მხოლოდ „კლასობრივი სხვაობის სისუსტეზე", რომელიც „არ ქმნის პიროვნებს სოციალური ანტაგონიზმის სიძლიერისას", და ჩვენ უმართებულო დასკვნის გამოყვანას გვწამებს.

ამხ. ამაღლობელს მართლაც აქვს ნახმარი სიტყვა—სისუსტე. აკი ჩვენ ვთქვით წინა წერილში, რომ მას ყოველ შემთხვევისათვის რამოდენიმე აზრი აქვს გამოთქმული და საჭიროების დროს იშველიებს იმათგან ისეთს, რომელიც უფრო გამოადგება. მაგრამ მკითხველი დამეთანხმება, რომ კლასობრივ ბრძოლის ისეთ სისუსტის მტკიცება, როცა იდეოლოგიას შეაქვს სხვა და სხვაობა საზოგადოების მთლიანობაში და ეროვნული საკითხის გადაჭრით პრაქტიკულად თითქმის საფასებით იჭრება პოლიტიკური ჯგუფების თანამშრომლობის საკითხი,—არსებითად უდრის კლასობრივ მომენტის მიჩქმალვას, მისი მნიშვნელობის ნულამდე დაყვანას.

რა საბუთები მოყავს ამხ. ამაღლობელს ჩვენში კლასიურ ბრძოლის ასეთი სისუსტის, თითქმის არარაობის დასამტკიცებლად? ამისთვის იგი „თავს არ იწყენს" „დაახასიათოს ჩვენი მეურნეობის ხასიათი და შოგვცეს ჩვენი ქვეყნის კლასობრივი [illegible]ია, იგი აძლევს ტონს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას ორი-სამი უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში.

ეს ისეთი თვალსაჩინო ფაქტია, რომ მის უარყოფას ამბ. ამაღლობელიც ვერ იკისრებს.

მეორე მხრივ არსებობს წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, რომლის ინტერესები აშკარად უპირდაპირდება მუშათა კლასის (და აგრეთვე მასთან მდგომარეობით ახლო მდგომ ღატაკი გლეხობის) ინტერესებს.

ამ ორი კლასის არსებობა და დაპირისპირება, რაც უდავო ფაქტია, სხვა ფაქტორებიც რო არ მივიღოთ მხედველობაში, ბულისხმობს მათ შორის საკმაო ძლიერ კლასიურ ბრძოლას.

მაგრამ არის სხვა ფაქტორები, რომელნიც კლასიურ ბრძოლას ჩვენში უფრო ძლიერ ხასიათს აძლევენ

ამხ. ამაღლობელს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ჩვენ ჩინეთის კედლით კი არა ვარ მოწყვეტილი დანარჩენ მსოფლიოს და ყოველმხრივ დახურულ კოლოფში მომწყვდეული. დღეს ხალხები ჩაბმული არიან მსოფლიო ბაზრის ქელში, და კაპიტალისტურ რეჟიმს აქვს საერთაშორისო ხასიათი. და რამდენ ეკონომიური მოვლენა, შეიძლება ძალიან დაშორებულ ქვეყანაში, პოულობს გამოძახილს ჩვენში, გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე და საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობაზე. ხშირათ ხდება ხოლმე, რომ კაპიტალისტური მეურნეობის უარყოფით მოვლენებს უფრო მწვავედ განიცდიან ჩამორჩენილი ხალხები, ვიდრე სამრეწველო და ეკონომიურად მძლავრი ქვეყნები ეს ეხებინება დღევანდელი ფინანსიური კაპიტალის ბუნებით. ფინანსიური კაპიტალი ჩამორჩენილ ხალხების გაცარცვისა და მსოფლიო ბაზარზე აღებული უამრავი მოგებიდან ლუკმა პურს უგდებს თავის ქვეყნის მუშებს და ამით რამოდენიმედ აშოშმანებს მათ, სამაგიეროდ ამ სოციალიზაციურ ქვეყნების მუშების მდგომარეობა უარესდება, და ისინი მძლავრად განცდიან შევიწროებას და ამიტომაც კლასიური ბრძოლაც ამ ქვეყნებში გამწვავებულია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უმაღლეს განვითარებამდე მისულ კაპიტალიზმს მოეპოვება საშუალებანი კრიზისების სიმწვავის დროებით შენელებისა. ამაზე მოგვითხრობს ვილფერდინგი თავის „ფინანსიურ კაპიტალში". ასეთებია: ზრდა მეურნეობის სისტემაში მსხვილ, მკვიდრი წარმოებების და მოსპობა ხელოსნური და საკუთარ მოსახმარად მომუშავე წარმოებების; ცვლილებები კრედიტის ორგანიზაციაში და ვაჭრობა-მრეწველობის დამოკიდებულებაში, რომელნიც აბნელებენ საკრედიტო კრიზისის გადასვლას სალბანკო და ფულის კრიზისში, აგრეთვე ამცირებენ სპეკულიაციას, და სხ.

ამგვარად, ეკონომიური კრიზისი, რომელსაც ადგილი აქვს კაპიტალიზმის ქვეყნებში, ფინანსიურ კაპიტალის ბუნების გამო, ხშირად უფრო მძიმე შედეგებს იძლევა კაპიტალისტურად უფრო სუსტ ქვეყნებში. განა ამას მეჩერმეტყველურად არ ამტკიცებს მსოფლიო ომი და რუსეთის რევოლიუციი!

ევროპის ეკონომიურ კრიზისმა, რომელმაც მსოფლიო ომი გამოიწვია, ყველაზე უფრო მძლავრად რუსეთი გაანადგურა. ამას მოყვა რუსეთში კლასთა ბრძოლის საშინელი გამწვავება და სამოქალაქო ომი. ცხადია, ამ მოვლენის სავსებით გაგება შეიძლება მხოლოდ მთლიანათ მსოფლიო ეკონომიკის და ფინანსიურ კაპიტალის ბუნების გათვალისწინებით.

საქართველოც ერთი ჩამორჩენილი ქვეყანათაგანია. ისიც განიცდის მსოფლიო ეკონომიურ კრიზისის დაომის ძმიმე შედეგებს. ჩვენში სამეურნეო ცხოვრება მოიშალა, სპეკულიაციამ ერთა აიხა. ასეთ პირობებში ჩვენშიაც გამწვავდა კლასთა შორის დამოკიდებულება. სავაჭრო და სპეკულიტური კაპიტალი, რომელიც უმთავრესად თარეშობს ჩვენში, ყველაზე უფრო შეუბრალებელ და მახინჯ, ექსპლოატაციას ეწევა მშრომელი ხალხისას. ამასთან ჩვენში მდგომარეობა გაამწვავა არა მარტო მსოფლიო ომმა, არამედ თითქმის განუწყვეტელმა ომებმაც, რომელიც წარმოებდა ამიერ-კავკასიაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ეს ქმნიდა პირობებს მშრომელ მასსის გაღატაკებისას ერთა მხრით, და ერთი მუჭა ხალხის გამდიდრებისა და სპეკულიატურ ბურჟუაზიის წარმოშობისათვის—მეორე მხრივ. უფსკრული ამ ორ კლასს შორის სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა, და კლასობრივ ბრძოლაც სასტიკ ხასიათს ღებულობდა.

რო გადავვლოთ თვალი მენშევიკების ბატონობის სამი წლის ისტორიას, რას დავინახავთ?—მენშევიკების სამი წლის მმართველობა ჩვენში შეიძლება დახასიათდეს, როგორც პერმანენტული სამოქალაქო ომის პერიოდი, მუდმივი აჯანყებები, რომლებსაც თავად აზნაურობა და ბურჟუაზია მენშევიკების მეთაურობით ცეცხლითა და მახვილით აქრობდა, ნაკლებად გვეუბნება კლასობრივ ბრძოლის იმ „სისუსტეზე" რომელზედაც ასე იდილიურად მოგვითხრობს ამხ. ამაღლობელი.

დავანებოთ თავი წარსულ დროს და ვიკითხოთ, განა ეხლა კლასობრივი ბრძოლა მძაფრად არ წარმოებს? ამ შემთხვევაში მუშაობა კლასის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებულა მთელი სოფლის კულაკობა, თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია. მკითხველს კარგად მოეხსენება ის მუხრუჭი, რომლითაც ჩამოხჩობას უპირებდნენ კულაკები სოფლის შეუძლო გლეხობას სიმშილის დროს „დახმარების" აღმოჩენისათვის.

აუცილებლობის გამო დადებული ჩარჩული პირობების ახალი მოსავალის საგრძნობი ნაწილი მათ უნდა ჩაეგდოთ ხელში. მართალია, მთავრობა მიეშველა გლეხობას, და ჩარჩები ალაგმა. მაგრამ ეს არ არის ამ ჟამად საინტერესო. საყურადღებოა ის, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს კლასობრივ ბრძოლის ყველაზე უფრო საზიზღარ გამოხატულებასთან. შემდეგ: რას მეტყველებს ამ ბრძოლა? ეს ბრძოლა [illegible] ... ეროვნულ [illegible] ... ეროვნულ [illegible] ... ეროვნულ

სასურსათო გადასახადის კამპანია

ბოლო რამდენია შეკრებილი? სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობებით, რომელიც მიღებულია სექტემბრის 13 ხთვის, აღმოსავლეთ საქართველოს ცხრა მაზრაში, სადაც ნატურ-გადასახადის შეგროვება დაწყებულია, ხორბლის ერთეულით შეკრებილია 185,332 ფუთი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბორჩალოს მაზრაში დღემდე მხოლოდ წარშანდელ გადასახადის ნარჩენის შეგროვება სწარმოებ-დ.

მაზრები	რამდენი ფუთი აქვს შეწერილი 1922 წლისთვის?	რამდენია აკრეფილი ხორბლეულის ერთეულით?	აკრეფილი გადასახადი შეწერილ გადასახადის რამდენ პროცენტს შეადგენს?
1. თელავის მაზრა	60 000 ფ.	36 180 ფ.	60.3
2. გორის მაზრა	100.000 ფ.	58.858 ფ	58 8
3. სამხრეთ-ოსეთი	20.000 ფ	9.762 ფ.	48.8
4. სენაკის მაზრა	100.000 ფ.	40.262 ფ	40.2
5. ტფილისის მაზრა	70.000 ფ.	22 900 ფ.	32.7
6. თიანეთის მაზრა	20 000 ფ.	3 608 ფ	18.0
7. ახალციხის მაზრა	60.000 ფ.	8 731 ფ.	14 5
8. დუშეთის მაზრა	35 000 ფ.	3.094 ფ.	8.5
9. ბორჩალოს მაზრა	80.000 ფ.	1 937 ფ.	2.4

1921 წლის ნატურ-გადასახადის ნარჩენი.

წარშანდელ ნატურ-გადასახადის ნარჩენი ამ ჟამად იკრიბება აღმოსავლეთ საქართველოს ხუთ მაზრაში, ესენ: ახალქალაქისა, ახალციხისა, ბორჩალოსი, ტფილისისა და თიანეთისაში, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ორ მაზრაში რაჭისა და ლეჩხუმისაში.

ყველაზე კარგად ნარჩენის შეგროვება ბორჩალოს მაზრეში მიმდინარეობს, სადაც სექტემბერის 13-მდე ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით შეგროვილია ხორბლეულის ერთეულით 12.829 ფუთი, რაიც ამ მაზრაზე დარჩენილ გადასახადის 16,2 პროცენტს შეადგენს.

ახალციხის მაზრაში აკრეფილია 3.755 ფ., ანუ 10,9 პროც.

ტფილისის მაზრაში 4.573 ფ., ანუ 7,8 პროც.

თიანეთის მაზრაში—1.195 ფ., ანუ 4,1 პროც.

ახალქალაქის მაზრაში—293 ფ., ანუ 1,8 პროც.

დასავლეთ საქართველოში წარშანდელ ხატურ-გადასახადის ნარჩენი გროვდება ფულად. ეს ფული რომ ხორბლის ერთეულად გადავაქციოთ, მაშინ გამოდის, რომ ჭიათურის მაზრაში შეგროვილია 1891 ფ. ანუ 24,4 პროცენტი, ხოლო შორაპნის მაზრაში—350 ფუთი.

ბოლო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს 7 მაზრაში, სადაც ნარჩენის შეგროვება დაწყებულია ხორბლეულის ერთეულით შემოსულია 24.886 ფუთი.

კამპანიის მსვლელობა

სამხრეთ ოსეთი

სასურსათო გადასახადის კამპანიას განსაკუთრებული სიცხოველე სექტემბრის პირველ რიცხვებში დაეტყო. ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით კამპანიის დაწყების დღიდან სექტემბრის 9-დე სამხრეთ ოსეთში შეგროვილია: ხორბალი 9.076 ფუთი, ქერი—1.369 ფ. და სხვა. სრული იმედია, რომ გადასახადი სრულიად შეიკრიბება.

დუშეთის მაზრა.

სახალხო სასურსათო კომისარიატში უკვე მოდის ოფიციალური დოკუმენტალური ცნობები იმ თემების შესახებაც, სადაც გადასახადის შეგროვება ამ ბოლო ხანს დაიწყო. დუშეთის საბაზისო საწყობში სექტემბრის 9 მდე მიღებულია ხორბალი: საგურამოს თემიდან—862 ფუთი, ჭიპირტის თემიდან—483 ფ., ბაზალეთის თემიდან—445 ფ., ანანურის თემიდან—137 ფუთი, ჟინვალის თემიდან—119 ფ. და დუშეთის თემიდან—48 ფ. ამას გარდა მცხეთის პუნქტში მიტანილია 1.000 ფუთი ხორბალი.

ტფილისის მაზრა

მაზრაში 16 თემია. 12 თემში გადასახადის შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს და იმედია, რომ აკრეფილ იქმნება მაზრაზე შეწერილი გადასახადის 100 პროცენტი. ამ დღეებში დაიწყება გადასახადის შეგროვება დანარჩენ ოთხ თემში: გომბორისაში, პრიუტისა, მანგლისისა და წალკისაში, სადაც მუშაობა შეჩერებული იყო იმის გამო, რომ ადგილობრივ პირობათა გამო მოსავალი აქ გვიან მოდის. გადასახადის შეგროვება მიმდე სწარმოებს ყარაიაზის თემში, რაიც აიხსნება იმით, რომ საზაფხულოდ გახიზნული ხალხი მხოლოდ ახლა უბრუნდება თავის კარ-მიდამოს.

კამპანიის დაწყების დღიდან სექტემბრის 7-მდე ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობებს მ ხედვით ტფილისის მაზრაში ხორბლეულის ერთეულით შეგროვილია: ავჭალის თემში 2 100 ფ. (მთელი 100 პროცენტი) დიღომის თემში 1 300 ფუთი. (100 პროცენტ.), წყნეთისაში—300 ფუთი, თელეთისაში—1.000 ფუთი, ყარაიაზიაში—500 ფ. კოჯორისაში—400., საგარეჯოსაში 4.500 ფ, სართიჭალისაში—4.000 ფ, მარტყოფისაში—1.500, ნორიოსაში 2.000 ფ, ასურეთისაში—3-300 ფ და აღბულაღისაში—500 ფ. სულ მთელს მაზრაში შეგროვილია 22,900 ფუთი ხორბალი. შეგროვილ ხორბლიდ ნ 5,000 ფუთი უკვე ჩატანილია ტფილისში, სადაც ჩაიბარა სახალხო სასურსათო კომისარიატმა.

სიღნაღის მაზრა

სასურსათო გადასახადის შეგროვება გაჩაღებულია ყველა იმ რაიონში, სადაც ხორბლეული მოდის. მარტო სექტემბრის 1-დან 7 მდე დოკუმენტალურ ცნობით შეგროვილია: ხორბალი—9.867 ფუთი, ქერი—869 ფ, ლობიო—1.115 ფ., მატყლი—88, ფეტვი—109 ფ. და სიმინდი—89 ფ.

სიღნაღის მაზრა ამ დღეებში ხელმეორედ მოიარა სახალხო სასურსათო კომისარიატის მთავარმა საგადასახადო ინსპექტორმა, რომელიც გადასახადის კამპანიის მსვლელობას შემდეგ ნაიარად გვიხატავს:

საერთოდ სიღნაღის მაზრაში საგადასახადო მუშაობა ძნელია, ვინაიდან ეს მაზრა მეტად დიდია და ერთ-ერთ უმთავრეს სიძნელეს გადასახადის მოზიდვის დროს გზების სიშორე იწვევს. გადასახადის შეგროვება მოკლე ხანში დასრულდება იმ რაიონებში, სადაც ხორბლეული მოდის, ხოლო ალაზნისა და სხვა ზოგიერთ რაიონში კი, სადაც სიმინდის კულტურას მისდევენ, გადასახადის შეგროვება დაიგვიანებს. ამ ჟამად ლაგოდეხის მხარეს თვით სამაზრო სასურსათო კომისარი ამხ. თავდიშვილი მუშაობს და პირადად ხელმძღვანელობს გადასახადის აკრეფას. ხელმძღვანელნი დაგზავნილნი არიან სხვა რაიონებშიც. ზოგიერთ რაიონში უკვე შეგროვილია მთელი 100 პროცენტი. ტომრების ნაკლებობა აღარ არის. მთელი შეგროვილი გადასახადი დაუყოვნებლივ იგზავნება ტფილისში სახალხო სასურსათო კომისარიატის სახელზე. დღემდე გაგზავნილია 36.000 ფუთი ხორბალი.

ტვირთზიდვისა და შრომის გადასახადი—ეს დახმარებაა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტისთვის ქალაქის გაჭვენიერების საქმეში.

პარტიული ცხოვრება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ კოოპერატიულ დაწესებულებებში მომუშავე ამხანაგების

რეგისტრაციის უკანასკნელ დღეთ დანიშნულია 16 სექტემბერი

რის შემდეგ შეწყვეტილ იქნება რეგისტრაცია. ის ამხანაგები, რომლებიც ამ ვადის განმავლობაში არ გატარდებიან რეგისტრაციაში, იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი პარტიული დისციპლინის წესით.

(2—1) თბილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ფრაქციის გიურო

აცნობებს ყველა კომუნისტებს და კანდიდატებს, რომლებიც შეერთებული არიან ზემოხსენებულ კავშირში, რომ 17 სექტემბერს, დილის 9 საათზე, კავშირში (მუშათა სასახლე მე 4 სართული მე 69 ოთახი) შესდგება ფრაქციის

სხდომა ფრიდ საგულისხმო საკითხების გამო.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

(3—1) ფრაქციის მდივანი: **ბორის ჩიხტიკოვი.**

ახალგაზრდათა კომკავშირი

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს

ა. წ. 15 სექტემბერს რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი იწვევს ტფილისში კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის 2 ე საოლქო ყრილობას.

დღის წესრიგი:

1) ფედერატიულ რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.
2) საერთაშორისო ახალგაზრდობის მოძრაობა.
3) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიში და მოხსენება. „ამიერ კავკასიის კავშირის გაწმენდის შესახებ".
4) სრულიად რუსეთის მე IV ყრილობისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ამიერ კავკასიის I ყრილობას გადაწყვეტილებათა გატარების შედეგები.
5) ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობა ახალ პირობებში.
6) ახალგაზრდობის არაკომუნისტური ორგანიზაციების შესახებ.
7) რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის არჩევა.
8) დელეგატების არჩევა სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობაზე.

ყრილობა გამოჰკოფს მუშა ახალგაზრდობის პოლიტიკურ განმანათლებელ, შრომის, ყოფაცხოვრების და განათლების სექციებს.

წარმომადგენლობის ნორმ: 250 კაცზე—1 დელეგატი.

დელეგატები დაუშვებულნი იქნებიან მხოლოდ გადამწყვეტი ხმის უფლებით.

რუსეთის ახალგაზრდობათა კომკავშირის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი **ვ ფეიგინი.**

ს. კ. პ. თბილისის სამაზრო კომიტეტი

აცხადებს ყველა ინსტრუქტორ-ორგანიზატორების და თბილისის სამაზრო კომიტეტის წევრების საყურადღებოთ, რომ 15 სექტემბერს, საღ 5 საათზე შესდგება თბილისის მაზრის კომიტეტის პლენუმის და მ. კ. ინსტრუქტორების სხდომა სამაზრო კომიტეტის შენობაში. გოლოგ ნის პრ. 14.

დასწრება კომიტეტის ყველა წევრებისთვის და ინსტრუქტორებისთვის სავალდებულოა.

(4—2) თბილისის მაზრის კომიტეტის მდივნის მაგ. **ადამიძე.**

მუშები პატიოსნურად ანრულებენ თავის მოვალეობას კვირეულებზე მოქალაქენი ვალდებულნი არიან გადაიხადონ ფული ნაცვლად ტვირთზიდვის ბეგარისა.

ეკონომიური ცხოვრება

შავი-ქვის მრეწველობა

(საუბარი კ. თუმანოვთან)

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს, ჭიათურის საექსპორტო შავი ქვის სამრეწველო საზოგადოება „ჩემო"-ს დირექტორმა კ. პ. თუმანოვმა სთქვა შემდეგი:

საქართველოს ეკონომიკაში შავი-ქვა უდიდეს როლს თამაშობს და რა გასაკვირია, რომ საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა შავი ქვის მრეწველობის გაუმჯობესების საქმეს, მისი ამოღებისა და ექსპორტის გაძლიერების გზით.

თუ როგორია ამ მრეწველობის შესაძლებლობანი და რა შედეგებს უნდა ველოდეთ ექსპორტის განვითარების გზით, შეიძლება გავითვალისწინოთ შემდეგი ციფრებით:

გაზიდულია შავი ქვა ბათომისა და ფოთის საშუალებით:

1905 წელს	—	21,466,494	ფუთი
1906 „	—	30,895,905	„
1907 „	—	33,530.547	„
1908 „	—	24,683,212	„
1909 „	—	35,088,672	„
1910 „	—	39,635,677	„
1911 „	—	37,510,747	„
1912 „	—	55,834,409	„
1913 „	—	65,827,624	„
1914 „	—	43,652,902	„

(7 თვით წინ ომამდე).

შავი ქვის მადნის მოხმარება მსოფლიოს ბაზარზე სავსებით დამოკიდებულია მეტალურგიულ მრეწველობის განვითარებაზე, რომლის გაფართოების წლებში ჭიათურის შავი-ქვის გაზიდვა საგრძნობლად იზრდებოდა, და პირიქით, აღნიშნულ მრეწველობის შემცირებასთან ერთად მცირდებოდა თვით ექსპორტიც, რაც გავლენას ახდენდა ჭიათურის შავი ქვის ამოღებაზე.

ამ რიგად, ამოღებულ იქნა:

1905 წელს	—	20,876,487	ფუთი
1906 „	—	50,170,000	„
1907 „	—	40,833,000	„
1908 „	—	60,955,000	„
1909 „	—	36,506,000	„
1910 „	—	33,805,000	„
1911 „	—	28,635,000	„
1912 „	—	35,325,000	„
1913 „	—	59,188,000	„
1914 „	—	40,446,000	„

შავი ქვის სამრეწველოებში მუშების რიცხვი მნიშვნელოვანი იყო. 1914 წლის პირველ ნახევარში მადნის დასამუშავებლად დაქირავებული იყო 5,000 კაცი, მისაწოდებლად—700, სამრეწველო ქარხნებში—800, მტვირთველად ჭიათურის სადგურზე—500, შორაპნის სადგურზე გადამტვირთველად—250, მტვირთველად ფოთში—550, ბათომში—150, სულ დაახლოვებით 8000 დე. მუშების (უკოლოების) სამუშაო ქირა აღწევდა 10—12 მანეთამდე დღეურად; რკინის გზა კი დღეურად ღებულობდა დაახლოვებით 15000 მანეთს ოქროთი.

ამ ჟამად გამოცხადებულია შავი ქვის გაზიდვის მონოპოლია, ამავე დროს მთავრობა ღებულობს გასაზიდი ბაჟის სახით 2 მილიონ მანეთს მეტალურგიულ მადანის თვითეულ ტონაზე და 4 მილიონ მანეთს იმ მადნის ტონაზე, რომელიც იგზავნება ქიმიურ საპროდუქტებისათვის, და ამას გარდა 35 პროცენტს საექსპორტო მოგებისა გაზიდულ შავი ქვის მთელ რაოდენობაზე, რომ ვანგარიშოთ წლიური გაზიდვა 500,000 ტონით, მთავრობა წლიურად მიიღებს მხოლოდ გასაზიდი ბაჟის სახით დაახლოვებით 100,000 გირვანქა სტერლინგს.

რაც შეეხება საექსპორტო მოგებას, მისი რაოდენობა საფასებით დამოკიდებულია, ერთი მხრით, შავ ქვაზე მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებისაგან, ხოლო მეორე მხრით გასაზიდ საქონლის თვით ღირებულებისაგან. რაც უფრო იაფი ჯდება შავი-ქვა, და რაც უფრო დიდია გასაყიდი ფასები, მით უფრო მეტ მოგებას ღებულობს მთავრობა შავი ქვის მრეწველობისაგან საექსპორტო მოგების ანგარიშით.

რაც უფრო მეტია იექსპორტისა და ამოღების რაოდენობა, მით უფრო მეტს მიიღებს ის გასაზიდ ბაჟისა და ჭიათურის რაიონის საკონცესიო ნიადაგზე გაცემული შავი-ქვის იჯარის ანგარიშით.

ეს წმინდა ფასკალური თვალსაზრისით, მაგრამ ამის გარდა არის კიდევ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი, რომელიც განსაზღვრულ მოქმედებაში მოითხოვს გაზიდვის არა თუ გადიდებას, არამედ, პირიქით, შემცირებას. ეს მაშინ, როდესაც ფასები შავ-ქვაზე ეცემა და როცა ექსპორტის გაძლიერება წარმოადგენს სახელმწიფო სიმდიდრის უმიზნოდ დახარჯვას. ადგილობრივ ნაწარმოებ პროდუქტების გაზიდვა და გაყიდვა უმნიშვნელო ფასებში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ამ ნაბიჯს მოითხოვს ფულის ნიშნების უკიდურესი მოთხოვნილება. ამ ჟამად ასეთი უკიდურესი მოთხოვნილება არ არსებობს და ამისათვის არავითარი ანგარიში არ არის ანტანტის კაპიტალისტურ სახელმწიფოების სარგებლობისათვის გაიზიდოს შავი-ქვა, გაზრდის პირობისათვის ანგარიშის გაუწევლად; პირიქით, არსებობს ყოველივე შესაძლებლობანი იმისათვის, რომ საქმის კარგად დაყენებით მივაღწიოთ მაქსიმალურ საარგებელს შავ ქვის პატრონისათვის—ს. ს. ს. რესპუბლიკისათვის.

შავი ქვის ექსპორტისათვის მონოპოლიის უფლების განხორციელება გადაეცა 20 წლის ვადით საზოგადოება „ჩემო" ს.

საზოგადოებას ევროპაში აქვს ცენტრალური საგენტო მადანის გასანაღდებლად, რომელიც აქვს სპეციალური სუბ საგენტორები იმ სახელმწიფოებში, რომლებშიაც გავრცელებულია შავი-ქვის ხმარება. ეს სუბ-საგენტორები აწვდიან საქონელს მომხმარებლებს. წელს ჭიათურის შავი ქვის მეურვეებად უმთავრესად გამოდიოდნენ გერმანია და ინგლისი და ამერიკა, საქონელს აწოდებდნენ ქარხნებს უშუალოდ, ამერიკას პირველი ტვირთი, ქარხნებთან უშუალო კავშირის უქონლობის გამო, მიეყიდეს შუამავლების საშუალებით, მაგრამ შემდეგში დაუყოვნებლივ დაარსდა სუბ საგენტო და გაყიდვა წარმოებდა ქარხნებთან უშუალოდ სახელმწიფოების მიხედვით გაზიდვა ნაწილდება შემდეგნაირად:

გერმანია	— — — —	44652 ტონა.
ამერიკა	— — — —	26061 „
ინგლისი	— — — —	34133 „
საფრანგეთი	— — —	3380 „

პირველ მყიდველებად ითვლებოდნენ გერმანიის ქარხნები, მხოლოდ შემდეგ დიდი ინტერესი ჭიათურის შავი ქვისადმი გამოიჩინეს ამერიკამ და ინგლისმა ამჟამად ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ, შეეძლებთ აღვადგინოთ მოკლე ხანში ჩვენი შავი ქვის უწინდელი მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზედ. საზოგადოება „ჩემო" უცხოეთის ორგანიზაციას, თანდათანობით და დიდი შრომით მოწესრიგებულს, აქვს ამისათვის საკმაო კავშირი, დაბრკოლებას წარმოადგენს შავი ქვის დატვირთვის და გადაზიდვის ტექნიკური შესაძლებლობა და ის, თუ, რამდენად სასარგებლოა სახელმწიფოთათვის არსებულ მომენტში გაზიდვის გადიდება, თუ მხედველობაში მივიღებთ შავი-ქვის გასასყიდ ფასებს და თვით ღირებულებას. მოავრობის უმაღლესი ორგანოები და ფართო მასები საკმაოდ უნდა იყვნენ გაცნობილნი შავი-ქვის საქმესთან, რადგანაც ეს არის საბჭოთა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების უმთავრესი ძარღვი. მსოფლიო ომის შედეგებისა და თანამედროვე მდგომარეობის გამო რკინის გზა სამუშაო მდგომარეობა მოიშალა. ჩვენ განვაახლეთ მუშაობა, მაშინ, როცა რკინის გზას შეეძლო მოეწოდებინა ჩვენთვის მხოლოდ 45 ვაგონი დღეურად; შემდეგ ჩვენ ვტვირთავდით 100 ვაგონს და გაზზრახული გვქონდა გაგვორკეცებინა დატვირთვის რიცხვი. რკინის გზამ გაუმჯობესების შემდეგშეაც. რომ ჩვენ გასულ წელს გაგვეკეთებინა ერთად შავი-ქვის დიდი რაოდენობა, ვერ შევსძლებდით ჭიათურიდან ფოთში თუ ბათომში მის გადაზიდვას და გემები დარჩებოდნენ დაუტვირთავი. ტრანსპორტის გადიდებას ხელს უშლიან მიზეზები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნავთსადგურებში დატვირთვასთან, სახელდობრ დიდი სანავთსადგურო გადასახადი, გააუჯობესა თავისი მდგომარეობა ტ რომელიც ძლიერ აშინებს არმატორებს და აფერხებს ფრახტის საქმეს. საზოგადოება „ჩემო"-ს და საზღვაო ტრანსპორტის საერთო ღონისძიებით შესაძლებელი გახდა ფოთის ნავთსადგურის გაღრმავების საქმის მოგვარება. ერთი მიწის მთხრელი უკვე მუშაობს, მეორე კეთდება და ამ წლის ბოლოს მზად იქნება. დიდი ტონაჟის გემებს შეეძლებათ ფოთის ნავთსადგურში შემოსვლა, მაგრამ ისინი უფრო არ შემოვლენ, ეგრე წოდებულ დიდი საღუზო გადასახადის გამო,

ბრძოლა სიმოლოგასთან

„ორკვირეული"

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის რესურსების გასაძლიერებლად.

(16—20 სექტემბერი).

„ორკვირეული"-ს გამტარებელი ცენტრალური კომისია დამშეულთა დამხმარე კომიტეტის გასაძლიერებლად შაბათს, 16 სექტემბერს იწყებს შემოწირულებათა შეგროვებას, რათა გადიდებული იქნეს დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის საშუალება.

ამ ამოცანასთან ერთად დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ორგანოებს წინაშე იშლება ახალი მორიგი ამოცანა—დახმარების აღმოჩენა დაზარალებულ რაიონების სიმშილისაგან განადგურებულ მეურნეობის აღდგენისათვის.

განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ყირიმის რესპუბლიკა, რომლის სათესი მიწანი შემცირდა ომამდე არსებულ ნორმასთან შედარებით დაახლოვებით 70 პროცენტით, რასაც შედეგად მოჰყვა 6,000,000 ფუთი პურის დაკლება, ხოლო სათბობი მასალის მარაგი ძლივს აღწევს მოთხოვნილების ერთ მესამედს.

ყირიმის მცხოვრებთა რიცხვის ნახევარზე მეტს ემუქრება სიმშილი და სიცივე, როცა ნადგურდება მაღალი კულტურის (ვენახის, თამბაქოს) მეურნეობა და იღუპება პირუტყვების 75 პროცენტი.

მოძმე ყირიმის რამოდენიმე ასი ათასი მუშები და გლეხები იმყოფებიან დაღუპვის წინაშე და მოითხოვენ დახმარებას საბჭოთა „მარგალიტი"-ს აღდგენისათვის.

უდგება რა შემოწირულებათა მოგროვების „ორკვირეულს", ცენტრალური კომისია მიმართავს მხურვალე მოწოდებით საბჭოთა საქართველოს, აჭარის და აფხაზეთის მშრომელებს და ყველა კერძო მოქალაქეებს, უზრუნველჰყონ გადასახადის მოგროვების ნაყოფიერად ჩატარება.

დამშეულთა დახმარების „ორკვირეულის" გამტარებელი ხაბ ხაქართველოს ცენტრალური კომისია.

საქართველოს ს. ს. რ. დამშეულთა დამხმარე „ორკვირეულის" გამტარებელი ც კომიტეტისაგან.

1 ორკვირეულის პირველ დღეთ გამოცხადებულია 16 სექტემბერი.

2. შაბათს, 16 სექტემბერს და კვირას 17 სექტემბერს—გაიმართეა ქალაქში შემოწირულების შეგროვება ყუთებით,—18, 19 და 20 სექტემბერს ხელმოსაწერი ფურცლებით.

შენიშვნა: საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის თვითეულ რაიკომთან შედგენილია სარაიონო კომისიები—სამეულები, რომელნიც განაგებენ შემოწირულებას შეკრებას თავიანთ რაიონებში.

3. კვირას 17 და 24 სექტემბერს ქალაქის ყველა ბაღებში შესვლა ფასის გადახდით მოხდება.

4 ტრამვაი და ფუნიკულიორი ერთი კვირის განმავლობაში მთელი შემოსავლიდან გადარიცხავენ 2 პროც ს.

5. შემოღებული იქნება ორ კვირის განმავლობაში სანახაობათა გადასახადი, გარდა არსებულისა; თეატრებში—ბილეთების ფასის 10 პროც, კინოებში და ბაღებში—5 ათასი მანეთი ბილეთზე.

6. სასტუმროები და რესტორანები იხდიან სამი დღის განმავლობაში მთელი შემოსავლის 5 პროცენტიან გადასახადს, თანახმად ქალაქის აღმასკომის დადგენილებისა.

7. ლოტოზე ორი კვირის განმავლობაში დაწესებული იქნება მოგებიდან 5 პროცენტიანი გადასახადი.

8. სახალხო კომისარიატებთან და ცენტრალურ დაწესებულებებთან დამშეულთა დამხმარე კომიტეტები მოაწყობენ: საქ. საგანგებო კომისია—რუსთველის თეატრში წარმოდგენას და ძვირფასი ნივთების გათამაშებას; ფინანსთა სახ. კომისარიატი—ცნობების მიცემისათვის აწესებს 10.000 მანეთს და მოწმობების მიცემისათვის—15.000 მან. საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო—აწესებს 1 პროცენტიან გადასახადს ყველა გემებზე, რომელნიც მოდიან საქართველოს, აჭარის და აფხაზეთის ნავთსადგურებში.

შენიშვნა. დანარჩენი ღონისძიებანი და განმარტებანი თავის დროზე იქნება გამოქვეყნებული.

„ორკვირეულთან" დაკავშირებულ საკითხების შესახებ უნდა მიმართონ ც. კომისიას (რუსთველის პროსპექტი № 22. ტელ. 14—46.).

ც. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სამუელიანი.**

მდივანი **ვულფოვიჩი.**

სახალხო კომისარიატებთან და ცენტრალურ დაწესებულებებთან არსებულ ყველა დამშეულთა დამხმარე კომიტეტებს.

დამშეულთა დახმარების „ორ კვირეულს" გამტარებელი ცენტრალური კომისია წინადადებას იძლევა დაეყენებინ წარმოადგენონ დაწვრილებითი ცნობები „ორკვირეულში" მონაწილეობის მიღების გეგმის შესახებ, რომელიც იწყება შაბათს, 16 სექტემბერს. აღნიშნულ ცნობების თავის დროზე წარუდგენლობა დაარღვევს კამპანიის მსვლელობას და ამისათვის პასუხის მგებელია დამშეულთა დახმარე კომიტეტების პირადი შემადგენლობა.

დამშეულთა დახმარების „ორკვირეული" ს გამტარებელი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **სამუელიანი.**

მდივანი **ვულფოვიჩი.**

ინსტრუქცია ამკრეფლებისათვის.

1) შემოწირულებათა ყულაბებით მოგროვება დაიწყება ქალაქში შაბათს, 16 სექტემბერს, დილის 10 საათიდან და გაგრძელდება 2 დღეს—შაბათს და კვირას.

2) ყულაბებს, ნიშნებს და მანდატებს ამკრეფლები მიიღებენ რაიონულ სამეულებში, შაბათს დილის 9 საათზე.

3) რაიონული კომიტეტების პუნქტები:

1 რაიონი—ნაძალადევი ჩერქეზიშვილის ქ.
მე 2-ე „—მიხაილოვის ქ. № 96.
მე 3-ე „—ავლაბრის მოედ. № 1.
მე 4 ე „—რუსთაველის პრ. № 22.

4) ყველა ამკრეფლები მოვალენი არიან მოგროვებიდან დამთავრების შემდეგ ყულაბები ჩააბარონ რაიონულ სამეულებს. ყულაბებს ჩაიბარებს საღამოს 10 საათამდე ადგილობრივ პუნქტის მორიგე.

5) ამკრეფლებს უფლება აქვთ აწარმოონ მოგროვება ყველა გასართობ დაწესებულებებში, თეატრებში კინოებში, რესტორანებში და ტრამვაიზე.

6) ამკრეფლები სარგებლობენ უფასო ტრამვაით.

7) გარდა ყულაბებით მოგროვებისა, მოხდება აგრეთვე მოგროვება ხელის მოსაწერი ფურცლებით. ფურცლები ხელმოწერილია „ორკვირეული"-ს გამტარებელ ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ამხ. სამუელიანის მიერ და დადასტურებულია დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ბეჭდით.

8) ხელის მოსაწერი ფურცლებით შემოწირულებათა მოგროვება, გარდა შაბათისა და კვირისა, მოხდება აგრეთვე ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს.

დამშეულთა დახმარების „ორკვირეულის" გამტარებელი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სამუელიანი.**

მდივანი **ვულფოვიჩი.**

ბრეფკაკვშირიბები

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

მარიმობისთვის-ენკენისთვის მუშაობის გეგმების ცხოვრებაში გასატარებლათ, ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის სატარიფო-საეკონომიო განყოფილების მიერ, ა. წ. 18 აგვისტოს, მოწვეულ იქნა შემთანხმებელ კომისიის და ადგილკომეტბის საერთო საქალაქო კონფერენცია.

დღიურ წესრიგში იდგა: 1) შემთანხმებელ კომისიის მოხსენება თავის მოქმედების და მუშათა მდგომარეობის შესახებ ა. წ. 15 ივლისი—15 ავგ. პერიოდში და ამხ. ივ. ქა-

---

ქართული აკადემიური დრამის წლიური დასი. ს. ს. ს. რ. სახ განათ. კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტის მიერ 1922 23 წლების სეზონისათვის ქართულ თეატრისათვის დამტკიცებულია შემდეგი დასი. **ქალები:** ჩხეიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, აბაშიძე ტასო, დავითაშვილი, ჯავახიშვილი ნატალია, ქიქოძე ალისა, დონაური ელენე, ჭავჭავაძე თამარ, შოთაძე ანნა, ბეჟანიშვილი სუზანა, ციმაკურიძე ელენე, წუწუნავა ეკატერინა, რონელი ბარბარე, გამრეკელი ბარბარე, ამირაჯანი თამარ, შავიშვილი ბეუფა, აბელიშვილი ნატონინა, ლოლუა არეთა. **კაცები:** ციდაშვილი ალექსანდრე, დავითაშვილი გიორგი, ვასაძე აკაკი, კორიშელი პლატონ, გამყრელიძე ვიქტორ, ფრონისპირელი გიორგი, სარაული მიხეილ, გომელაური ზაქარია, ხონელი შალვა, დამბაშიძე შალვა, დადიანი შალვა, ჩხეიძე უშანგი, ციცაშვილი ნიკოლოზ, გოცირიძე ნიკო, ჟორჟოლიანი ალექსანდრე, მეკვია დიმიტრი, ლორთქიფანიძე მიხეილ, სარჩიმელიძე გიორგი, ჯიქია ვიჩესლავ. **დამხმარენ ებულნი:** აბაშიძე ვასო, გუნია ვალერიან, ჩერქეზიშვილი ელისაბედ, მესხი ეფემია. **რეჟისორები:** ქორელი მიხეილ, ანდრონიკაშვილი კონსტანტინე, ახმეტელი ალექსანდრე, ფალავა აკაკი (სეზონის). **სუფლიორები:** სანდალა (ს. გაჩეჩილაძე), მგალობლიშვილი ალექსანდრე (სეზონის). **ცენზორებები:** ითრდანიშვილი გიგო, ანთაძე ისაკ (სეზონის). **თანამშრომლები:** ვარდოშვილი მიხეილ, მამალაძე ვიქტორ, ნაცვლიშვილი დავით, დოლიძე, ბახტაძე გიორგი.

ახალგაზრდა განათლების კომისარიატში.

ტეუდენტი—ტეტიენდიანტები. ახალგაზრდა განათლების კომისარიატის მიერ გაგზავნილია მოსკოვში 59 სტიპენდიანტი სტუდენტი, მათ გარდა კიდევ 2 წევრი. სტიპენდიანტთა შორის ბევრი ყოფილი მოსამსახურეებია. ყველა მოსამსახურეებმა მიიღეს ენკენისთვის ჯამაგირი და ულუფაც წასვლის დროს. არა მოსამსახურეებს მიეცა 2 (ორი) მილიონი გზაზე ქართული ბონებით. სტიპენდიანტებს დაურიგდა მანუფაქტურა, ოთხი ფუთი თეთრი ფქვილი, თითო ბოთლი კონიაკი და სხვა. გზა სტიპენდიანტებს დაეთმო უფასოთ. ისინი მოსკოვს 6 ენკენისთვეს ვავიდენ, ადგილზე სტუდენტები მიიღებენ უფასო ბინას და საწოლს და ყოველთვიურათ ორ მილიონს ქართულ ბონებით, რომელსაც აძლევს მათ ს. ს. ს. რ. მთავრობა. 61—სტიპენდიანტს შორის 53 ვაჟია და 8 ქალი.

თურქული სახელმძღვანელოები. ა. ს. ს. რესპუბლიკიდან ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატმა მიიღო თურქული საკითხავი და ანბანის წიგნები. სასწავლო წიგნები: არითმეტიკის, ალგებრის, ბუნებისმეტყველების და გეოგრაფიის. წიგნები გასაყიდათ განაწილებულია სახ. განათ. კომისარ. წიგნის მაღაზიებს შორის.

პროგრამა. დაიბეჭდა და იყიდება მთლიან შრომის სომხის სკოლის პროგრამამა სომხურ ენაზე.

ზეკანონმდებლობა

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

ბუშათა ცხოვრება

ზეფის საკითხი.

ზამთარი გვიახლოვდება და შეშის კამპანიის შესახებ არაფერი ისმის. მართალია, ჩვენი მდგომარეობა შარშანდელთან შედარებით რამდენიმეთ გაუმჯობესდა, მაგრამ არც იმდენათ, რომ ბაზარზე თავისუფალ ფასებში შეშის ყიდვა შეგვეძლოს. ახლა ფული არა გვაქვს თორემ, ძალიან იაფია შეშა. სასურველია შეშის საკითხს დროით მიექცეოდეს ყურადღება. უეჭველად უნდა დაიწყოს შეშის კამპანიისათვის მზადება. შეიძლება ზოგიერთ დაწესებულებებმა უფრო მოხერხებულათ დაინახონ შეშის ფული მისცენ ახლა ზამთრის თვეების ჯამაგირში ავანსათ. ეს მუშებს დიდ სამსახურს გაგვიწევს, ვინაიდან ახლა ჩვენი ხელფასით კიდევ შეგვიძლია საჭირო შეშის ყიდვა და ზამთარში, როდესაც შეშა გაძვირდება ეს არ შეგვეძლება.

მუშა.

—

სასტუმრო „ოტელ ნოი".

ეს სასტუმრო ახლახან გაიცა კერძო პირზე იჯარით. აქ არ არის შრომის კანონები სავსებით დაცული. ამას ახალი ხაზინები ერთობ ნაკლებ ყურადღებას აპყრობენ. ვერც თვით მოსამსახურეები იჩენენ საჭირო ენერგიას თავის ინტერესების დაცვაში. მაგალითად, არ არის სავსებით დაცული სამუშაო დღეს შესახებ კანონი. დამლაგებელი ქალები გაცილიბით მეტს მუშაობენ ვიდრე ეს კანონით არის დაწესებული. სასურველია, შრომის ინსპექტორები ამას ყურადღებას მიაქცევდენ და შემოიხედავდენ ჩვენსკენ.

მოსამსახურე.

—

ჯიათურა.

ჯიათურაში მუშაობა გაცხოველების პროცესშია. არის შანსები, რომ ეს მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდება. ჯიათურა ყოველთვის იყო და ღღესაც არის სამრეწველო პროლეტარიატის რაიონი. მიუხედავათ ამისა, აქ პროფმუშაობა ძალიან მოიკოჭლებს. პროფმუშაობის მოდუნების მიზეზი პროფმუშაკთა უყოლობაა.

მიუხედავათ იმისა, რომ აქ მუშამოსამსახურეთა რიცხვი საკმაოთ დიდია 2,300 ახწევს, არ არსებობს საქალაქო პროფბიურო, რაც ნორმალურ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

აქ შრომის დაცვის საქმეს განაგებს ორი ორგანო. ერთი—შრომის ინსპექტორები და მეორე შრომის განყოფილების გამგეები. ამ უკანასკნელებს თავისებურად ესმით თავის მოვალეობა და ამ ნიადაგზე მათ და შრომის ინსპექტორებს შორის არის კონფლიქტი.

მოხიარული.

—

გორჯომი.

ადგილობრივი მუშამოსამსახურეების მდგომარეობა ძალიან მძიმეა. მდგომარეობას ართულებს ჯამაგირის თვის დროზე მიუღებლობა. აგერ რამდენიმე თვეა რაც მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირი არ მიუღიათ. დაწესებულებას მუშების მართებს 240 მილიონი მანეთი. ქარხნის გამგემ კანდელაკაშა ამ დავალიანების გასასტუმრებლათ უკვე მიიღო 300 მილიონი მანეთი და კიდევ პირდებიან.

პროფმუშაობა მოისუსტებს. ამ დარგში მხოლოდ ერთი კაცი მუშაობს. მუშაკთა დიდი სიმცირეა. საჭიროა ამას ყურადღებას მიაქცევდეს ვინც ჯერ არს.

ადგილობრივი.

—

თელავი.

თელავში შრომის დაცვის სფეროში ამ მოკლე ხანში მოხდა ცვლილება. წინათ აქ არსებობდა შრომის ინსპექტორის ინსტიტუტი. თელავი არ არის დიდი სამრეწველო რაიონი და ამიტომ შრომის დაცვის სხვა ორგანოებთან ერთად ზედმეტი იყო ასეთი ინსტიტუტის არსებობა. ამიტომაც დადგენილ იქნა შრომის ინსპექტორის თანამდებობის გაუქმება და მისი ფუნქციების შრომის დაცვის ადგილობრივ ორგანოებზე გადაცემა. ამგვარად შრ. დაც. ად. ორგანოების ფუნქციები იზრდება და ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ის ღირსეულათ შეასრულებს თავის საქმეს და მედგრათ და თავ დადებით დაიცავს მშრომელთა ინტერესებს.

თელაველი.

დეიშვილის მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულების და მის მნიშვნელობის შესახებ ახ. ეკ. პოლ. პირობებში.

შემთანხმებელ კომისიის მოხსენებიდან გამოიარკვა, რომ მისი მუშაობა, ყველა წარმოებებში, მიმდინარეობს ნორმალურათ, გარდა რკ ნის გზის კვანძის მომხმარებელ საზოგადოების და მომარაგების კომისარიატის სატრანსპორტო გარაჟებისა, სადაც შეჯიბრება ხდება შემთანხმებელ კომისიის და ადმინისტრაციის შორის, რაც უმიზეზოთ აჭიანურებს ზოგიერთ საკითხების გადაწყვეტას.

მუშების მდგომარეობა ყველა წარმოებებში შედარებით დამაკმაყოფილებელია. სამუშაო ქირით აკმაყოფილებენ თავის დროზე, გარდა „ცენტროტრამოტისა", რომელიც დავალიანების გამო, ვერ აკმაყოფილებს მუშებს დროზე.

საგარეო ტანისამოსის მიცემას შეუდგენენ; მთლიან მუშათა კოოპერატივში მით უკვე დაკმაყოფილეს.

კონფლიქტებს ალაგი არა აქვს.

მუშების დაკმაყოფილება შესაძლებელია გაიზარდა კოლექტიური ხელშეკრულების დადებით.

შემთანხმებელ კომისიის მოხსენების გამო შემდეგი რეზოლიუცია იქნა მიღებული.

„მოისმინა რა შემთანხმებელ კომისიის მოხსენება, ივლისს-მარიამობისთვის პერიოდში მუშაობის შესახებ, კონფერენცია სცნობს კომისიებში მუშაობის მიმდინარეობას ნორმალურათ, გარდა იმ წარმოებებისა, სადაც სამეურნეო ორგანოები შეუფერებელ უყურადღებობით ეკიდებიან მათ. კონფერენცია აქცევს ამაზე კავშირის ყურადღებას და სთხოვს სამეურნეო ორგანოებსა და შემთანხმებელ კომისიის შორის დამოკიდებულების მოგვარებას".

მეორე მომხსენებელმა, ამხ. ქადეიშვილმა გააცნო რა კონფერენციას საერთო სატარიფო პოლიტიკა სამხედრო კომუნიზმის დროს და ახ. ეკ. პ. პირობებში, განმარტა კოლექტიური ხელშეკრულების არსებითი მხარე, გაარჩია ყველა წვრილმანი ელემენტები, რომლებიდანაც იგი შესდგება და აღნიშნა კოლექტიური ხელშეკრულების მნიშვნელობა მუშებისა და სამეურნეო ნაწილებისათვის.

მოხსენების გამო მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. ივ. ქადეიშვილის—კოლექტიური ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ ახ. ეკ. პ. პირობებში, საერთო საქალაქო კონფერენცია შემთანხმებელ კომისიის და ადგილკომებისა სცნობს მის მნიშვნელობას, როგორც მუშათა კლასის მდგომარეობის გამაუმჯობესებელს და წარმოებებში პროდუქციის მომმატებელს, დაბეჯითებით მოითხოვს კოლექტიური ხელშეკრულების გამოუნაკლისათ გავრცელებას, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო წარმოებებში და მცირე რიცხოვან მუშებშიდაც.

ჟროვინციაში

სოფ. ზემოქმედი.

შემოქმედში მდინარე ბეუტნედ ბოგირის კეთება თითქმის დამთავრდა. აშენდა ოც საჟინიანი ბოგირი. შემოქმედის ხალხის მრავალი წლის სანატრელ საქმეს ფრთა შეესხა. 10—15 წლის განმავლობაში იკრიბებოდა შემოწირულებები ამ ბოგირის სასარგებლოდ, მაგრამ ფულის კურსის დაცემის გამო ის არავის მოუხმარია, საქმის დაგვიანების მიზეზით ვერ მიახწია თავის დანიშნულებას. ყოველთვის ვფიქრობდით ამ საქმის დაწყებას, მაგრამ ფიქრები ფიქრებათ რჩებოდა.

ეი ასეთ მრავალი ხნის სანატრელ საგანს ფრთა შეესხა საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივით და დახმარებით. ბევრია ასეთი საქმე, ხალხს სურვილი აქვს გაკეთების და კიდევაც შეუძლია სისრულეში მოყვანა, მაგრამ მას სჭირია ინიციატორი, გზის გამკვლევი და დამხმარე. ასეთად მოევლინა ხალხს მუშათა ხელისუფლება.

1921 წლის გადატრიალების დღიდანვე ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის (მაშინ რევკომი იყო) შუამდგომლობით სადგურ ნატანებიდან დაგვითმეს 12 ოც-ოც არშინიანი ფართე სამკალავი რელსები, რომლებიც მაშინვე იქნენ ამოტანილი. ხალხმა სასწრაფოდ აირჩია ამ ბოგირის საალმშენებლო კომისია, რომელშიდაც შევიდენ შემდეგი პირები: ივანე სიმონიშვილი, ტარასი დუმბაძე, ისიდორე მგელაძე, გიორგი ჭანუკვაძე და მიხაკო ჩიტაშვილი. მართლაც შეიძლება ითქვას, რომ ეს ხალხი ღირსი ყოფილა ასეთ დიდ საქმეში დასახელებისა. მათი მხურვალე, არა ჩვეულებრივი მუშაობით შეიკრიბა ოზურგეთში დახმარების სახით მოქ. ლადიკო აბაშმაძისა, ს. გალოგრესა და დიმიტრი ცეცხლაძის დახმარებით 6,280 ათ. მანეთი. ქ. ბათომში მოქ. კონია ტუღუშისა და ვანო გოთუას დახმარებით შეგროვილი იქნა 23, 980 ათ. მანეთი ფერცვალება დღეს (ბოგის დათვალიერების დროს) ზედ გამვლელ ხალხისგან 2. 300 ათ. მანეთ. გამგეობის ინიციატივით მოწყობილ იქნა ფასიანი წარმოდგენები ამ ბოგისვე სასარგებლოდ. ხალხმა დახარჯა შავი მუშავობა და ხის მასალა, დანარჩენი გამგეობის მხნე მუშაობით იქნა დაკმაყოფილებული ლურსმანების და სხვა და სხვა საჭირო მასალის შეძენა დაჯდა 50—60 მილიონამდი. ოზურგეთის ეკონომიურმა განყოფილებამ მისცა ტეხნიკი რომელიც მუშაობდა დაახლოვებით ორი თვე და არავითარი საფასური ხალხს მასში არ გაუღია.

ამ ბოგირზე უმთავრესად მუშაობდნენ შემდეგი სოფლები: გორისფერდი, გოგიეთი, ფატარი, ნაწილობრივ წითელმთა და სხვები.

გარდა თითო ოროლა პირისა (რომლებიც თითქმის თვეობით მუშაობდენ), ხალხმა იმუშავა 10—15 დღე, თვითეულმა გასწიეს დიდი შრომა, სამაგიეროთ ნაყოფიც ნახეს. დასასრულ მადლი ბას უცხადებთ შემოქმედის ბოგირის საალმშენებლო კომისიას და უსურვებთ მომავალშიაც სასახელოთ დაეგვირგვინებიოს ხალხის მინდობილი საქმე.

მადლობას უცხადებთ იმ პირთ, ვინაც თავისი წვლილი გაიღო ამ ჩვენთვის სამძიმო საალმშენებლო საქმეში.

გ. შემოქმედელი

—

ს. ეწერი

(ერკეთის თემი)

გაზეთ „კომუნისტის" 19 აგვისტოს მე-190 № ში მოთავსებულია ს. ერკეთიდან ვინმე „სევის" კორესპონდენცია, ამ სოფელში სახალხო სახლის დაარსების შესახებ.

ამხ. „სევი" ასე იწყებს თავის წერილს: ს. ერკეთში არსებობს კოოპერატივი, სამკითხველო, შრომის რვა კლასიანი შკოლა და სხვა. მკითხველი მიხვდება, თუ რისთვის დასჭირდა ამხ. „სევის" ამ დაწესებულებების ჩამოთვლა, ამით მას სურს თქვას, რომ სხვა ადგილზე შეუძლებელია სახალხო სახლის დაარსება, რადგან თემის ყოველ გვარი დაწესებულება აქ არსებობსო.

სანამ განვიხილავდეთ რამდენად საფუძვლიანია ეს აზრი, საჭიროდ მიგაჩნია მოკლეთ გავაცნოთ მკითხველს ერკეთის და ეწერის ბუნებრივი მდებარეობა. ს. ერკეთი, საცა არსებობს ამხ. „სევის" მიერ ჩამოთვლილი დაწესებულებები—გაშენებულია მთაგორიან ადგილზე, სადაც ნახევარი ქცევა სწორი ადგილიც კი არ მოიპოვება, მომწყვდეულია სამი მხრიდან მთებს შუა, და ისედაც ამ უდაბნოსებურ მოსაწყენ ადგილს, მზის სხივებიც კი სანატრელია თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში; ამას ზედ დაუმატეთ გზის უვარგისობა (ურემიც კი ვერ ადის) და თქვენ ვიის აშკარა გახდება ასეთ ადგილზე სახალხო სახლის დაარსების მიზან-შეწონილობა. თუმცა ჩვენ ამ საქმეში მათ ხელს არ უშლით. ეწერი სრული კონტრასტია ერკეთის, ის მდებარეობს ერკეთიდან ერთი ვერსის მანძილზე, და აქვს რამდენიმე დეციტინა სწორი, თავისუფალი მიწა, საუცხოოდ გაშლილი, ხეხვილობის დამატებული მდებარეობა, კარგი გზა, ყოველი მხრიდან აკრავს სქელი სოფლები. ასეთია „სევის" მიერ აბუჩად აგდებული ეწერი.

რაც შეეხება იმას, რომ ეწერი „პაწია" კუთხეა ერკეთის თემის ესეც ფრიად შემცდარი აზრია, აქ ამხ. „სევის" ავიწყდება, რომ სახალხო სახლზე აქვს ლაპარაკი და არა ადმინისტრატიულ დაწესებულებაზე, ეწერს გაცილებით სქელი მოსახლეობა აკრავს ირგვლივ და ჩვენ გვგონია, თემის საზღვარი მათ ხელს ვერ შეუშლის ისარგებლონ სახალხო სახლით, მისი კარები ხომ ყველასათვის ღია უნდა იყოს.

ჩვენ არ ვიცით როდის დაიბადა „ერკეთელებში" სურვილი სახ. სახლის აგებისა, და ამაში არც ვედავებით, არც არას დროს ხელი შეგვიშლია მათთვის და არც დღეს უშლით, მაგრამ რადგან საქართველოს რკინის გზების მუშათა არტელის „მშრომელთა კომუნის" მიერ ეწერის სახალხო სახლის სასარგებლოთ გადადებულ ორმოც მილიონში (40,000,000 მან.) გვედავებიან, და ამის შესახებაც ამხ. „სევი" სიმართლეს ამახინჯებს—საჭიროდ მიგვაჩნია აქაც გამოვარკვიოთ სიმართლე: ეწერში სახალხო სახლის აგების სურვილი დაიბადა ოთხი წლის წინეთ, და იმ თავითვე არჩეული იყო კომისია, მაგრამ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზების გამო, ამ კომისიის მუშაობამ ნაყოფი ვერ გამოიღო. წელს მეტი ენერგიით შეუდგა ხალხი ამ საქმეს და ამოირჩია ახალი კომისია; ამ კომისიამ ინახულა აქ შემთხვევით ჩამოსული საქართველოს რკინის გზების მუშათა არტელის „მშრომელთა კომუნის" თავმჯდომარე ამხ. ნ. კობიძე და სთხოვა დახმარება. ამხ. ნ. კობიძემ აღუთქვა დახმარება კომისიას ორმოცი მილიონი მანეთით, რაც თბილისში დაბრუნებისთანავე შეასრულა; მისი ინიციატორობით გადადებილ იქნა აღნიშნული თანხა ხსენებულ მიზნისთვის. ეს გაუგია ერკეთის კომისიას და უფრენია მანდატებით აღჭურვილი კაცი ამ ფულის მისაღებათ. რადგან ამ ფულის გადადებამდე ხსენებულ კომუნისთან მათ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონიათ—კომუნამ, რასაკვირველია, უარი უთხრა მათ მიერ გაგზავნილ კაცს ფულის მიცემაზე, და გააცნო ამ ფულის ნამდვილი მდგომარეობა. ეს არ მოეწონათ „ერკეთელ" ამხანაგებს და მოიწვიეს კრება, რომელზედაც დაადგინეს სახალხო სახლი აშენდეს ერკეთში.

მათ სრული უფლება აქვთ საცა სურთ იქ ააგონ სახ. სახლი, მხოლოდ მოვითხოვთ ნუ გვიშლიან ხელს, გაიგონ რომ ამ ფულის მისაღებათ ასეთი დადგენილების გამოტანა არ გამოდგება და ფულსაც ვერ მიიღებენ.

თუ სახალხო სახლის აშენება უნდათ, გამონახონ სხვა საშუალება.

ლადო კობიძე

სარედაქციო კრებაზე.

მწუხარებით გულმოკლულნი ნიკო და ლიდა თათარაშვილები აუწყებენ ნათესავს, ნაცნობთ და მეგობართ დასწრნენ უდროოთ გარცვლილ საყვარელ დის, სოფ. დიღმის სკოლის გამგე მასწავლებლის

თამარა ქრისტესიას ასულის თათარაშვილის

რომლის დასაფლავება მოხდება 15 სექტემბერს ჩვეულების სობოროს გალავნში. (1—1)

კვირას 17 ეკინიხთვეს

ელენე (ელიკო) ეგნატეს ასული ნარსიას

40 დღის გადაცვალების გამო, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი საფრანჩხის ეკლესიაში (ქ. ქუთაისში) რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გადაცვალებულის დედა, დები, ძმები, რძალი, ბიძია და ბიცოლა.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი ანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე სექტემბრის ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება.

(0—42)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით გეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხის გებაში. (0—21)

თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყოფილება უკანასკნელად აცნობებს

ყველა სახლის პატრონებს, რომ სახლების რეგისტრაციაში გასატარებლად საანკეტო ფურცლების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია **20 სექტემბრამდე**, ხოლო სარეგისტრაციო ბარათების გაცემის ვადა

ოც ოქტომბრამდე

სახლის მფლობელობა, რომელიც არ გატარდება რეგისტრაციაში გამოცხადებული იქნება უპატრონოთ და გამოცხადდება ქალაქის საკუთრებათ.

(287—2—2)

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახ. მოსამართლე

იწვევს გარდაცვალებულ მარიამ იოსების ასულ ოქრომჭედლიშვილის მემკვიდრეებს მის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების წარსადგენათ.

(319—1—2) სახალხო მოსამართლე ა. ჩაჩავა.

დაკარგე ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიის დამთავრების ატესტატი 1911 წლის გაცემული ანასტასია გეგენავას სახელზე. გუმშეულად ჩაითვლოს. (317—2—1)

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა ალექსანდრე დავითის ძის მაისურაძისა № 672 1889 წ.

(318—1—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველომ

მთელ ლიანდაგზე ბათომიდან სალოლლ სადახლომდე—ყველა შტოებით, რომ ტვირთების გაზიდვა აკრძალულია.

ყველა წინანდელ განკარგულებათა შესაცვლელად არის განმარტება, რომ თანახმად საქართვ. სასურსათო სახალხო კომისარიატის ცნობისა, ამის მიღებისთანავე ნებადართულია ყოველგვარი ტვირთის გადაზიდვა, გარდა პარკისა, აბრეშუმის და მეაბრეშუმეობის სხვა პროდუქტების, მატყლის, აგრეთვე დაკეტილ მაზრებიდან ხორბლეულობის, რომელიც გადასაზიდათ საჭიროა სასურს. სახალხო კომისარიატის სპეციალური ნებართვა.

(307—3—3) რკინის გზების უფროსის მაგიერ ნ. ლედერი.

საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან მატყლის გატანა.

ვინც არ უნდა წარადგინოს მატყლი გასაგზავნათ, ნებადართულია, მხოლოდ მიღება და გაგზავნა საქართველოს სასურსათო სახ. კომისარიატის ან მეცხვარეთა საზოგადოების „ძეგემსის" მისამართით.

(306—3—3) ეკონომიური ნაწილის უფროსი **აბელოვი.**

კახეთიდან ჰურის ტვირთების გატანის აკრძალვა

საქ. სასურსათო სახალხო კომისარიატის ა | წ. 9 აგვისტოს თარიღ. და 7784 №-ით ტელეფონოგრამის თანახმად, თელავის და სიღნაღის მაზრები სასურსათო გადასახადის აკრეფის დროს ხორბლეულის გატანის მხრივ გამოცხადებულია დახურულად, ნებადართულია ხორბლეულის მიღება და გაგზავნა მხოლოდ სასურსათო სახ. კომისარიატის მისამართით.

(305—3—3) რკინის გზების უფროსის მაგიერ **ლედერი.**

ქ. ტფილისის ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ

ტფილისის ქალაქის აღმასკომი ამით აცხადებს ქ. ტფილისის ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ **ა. წ. 15 სექტემბრიდან**, იწყება ქუჩებში პირადობის მოწმობების გასინჯვა

და ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად

ის მოქალაქე მამაკაცები, 18 წ.—50 წლ., რომელთაც ეკუთვნისთ შრომის ხარკის გადახდა, უნდა იქონიონ ხელზე პირადობის მოწმობა

მოწმობაში აღნიშნულთ უნდა იქმნეს შრომის ხარკის გადახდის ნიშანი, მარკის დაკვრით, ან სათანადო ნიშანი განთავისუფლების.

შრომის ხარკის არ გადამხდელთა წინაღმდეგ მიღებულ იქნება ზომები, სავალდებულო დადგენილების № 6 ის მე-4 §-ის თანახმად, სახელდობრ 20 მილიონ მანეთამდე ჯარიმის გადახდევინებით, ან ორი თვით დატუსაღებით.

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ციციკაძე.**

შრომის ხარკის გამტ. კომისიის თავმჯდომარე **თაქთაქიშვილი.**

(312—2—2)

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს

სათბობი მასალის განყოფილება

ამით აცნობებს საბჭოთა **საქართველოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს**, რომ ის დაწესებულებები, რომლებიც **15 სექტემბრამდე არ წარმოადგენენ** გარკვეულ ცნობებს

ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის

საჭირო სათბობ მასალის რაოდენობის შესახებ, თანახმად სათბობ მასალის განყოფილების 2 სექტემბრის ცირკულიარისა № 105358, არ იქნებიან ჩარიცხულნი გეგმიან მომარაგებაში და დაკმაყოფილებული იქნებიან

მეორე რიგში

კერძო დაწესებულებებთან ერთად, კერძო მომხმარებელთათვის დაწესებულ დასებში.

(309—3—3)